

3
4
5
6
7



ვიქტორ
ფურტკარაძე

წიგნი ეძღვნება იმ ადამიანის ხსოვნას, რომელმაც სულ რაღაც ოციოდე წლის განმავლობაში სამუდამოდ დაამახსოვრა თავი გორელებს და არამართო გორელებს.

ვიქტორ (ვიტია) ფუტკარაძე მართლაც რომ გამორჩეული პიროვნება გახლდათ თავისი შინაგანი სამყაროთი, ყოველდღიური ცხოვრების წესით, ნიუანსებით, რასაც უხვად შეიცავდა მისი ინდივიდუალური აურა.

მისაბაძი მამა და მეუღლე,

საუკეთესო სპორტსმენი (ფეხბურთელი),

შემოქმედი მწვრთნელი,

მომღებნი, საზოგადოების ყურადღების ობიექტი,

საოცარი იუმორის გრძნობით დაჯილდოებული და ა.შ.

სულ მცირედ ასე შეიძლება ვიქტორ (ვიტია) ფუტკარაძის დახასიათება.

წიგნი დაიწერა ვიტიას მეუღლის, ქალბატონ თამარ მეზ-ვრიშვილის (ძირითადად), ნაცნობ-მეგობრების, მეზობლებისა და ყოფილი კოლეგების მონათხრობების მიხედვით. გამოყენებულია რამდენიმე პუბლიცისტური მასალაც.

რედაქტორი: ვაჟა შაქარაშვილი

კორექტორი: ნანა კვარიანთაშვილი

კომპიუტერული

მომსახურება: შალვა მურადაშვილი

**...დღეს შენ გიხსენებთ (არ გვაქვს სხვა თემა),
ვგრძნობთ, რომ ახლოს ხარ, ვერ გხედავთ თვალით,
ზოგთა გონების გასანათებლად,
ჩვენ დაგვიტოვე სიკეთის ალი...**

2015 წლის 25 აგვისტოს ქ. გორის საფეხბურთო სკოლის მოედანზე ჩატარდა წარსულში „დილას“ ფეხბურთელთა გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელისა და მწვრთნელის ვიქტორ (ვიტია) ფუტკარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი (ტრაგიკული აღსასრულიდან 30 წლისთავი). მონაწილეობდნენ ქ. გორის, კასპისა და მცხეთის საფეხბურთო სკოლების გუნდები.

ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ გორელი ფეხბურთელები, რომლებსაც გადაეცათ ვიტია ფუტკარაძის სახელობის გარდამავალი თასი.

სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ ასევე ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელებს.



მცირე ექსკურსი

წინამდებარე წიგნისთვის მასალების მოძიებისა და წინასწარი დამუშავების პროცესში, ბუნებრივად გაჩნდა კითხვა, თუ ვინ იყვნენ ვიტისა (ვიქტორ ფუტკარაძის) წინაპრები.

როგორც ქალბატონმა თამარ მეზვრიშვილმა (ვიქტორ ფუტკარაძის მეუღლე) გვაუწყა, ჩვენი წიგნის მთავარი გმირის პაპა (მამის მამა) ყოფილა ასევე ვიქტორ ფუტკარაძე (მეტსახელად ბიკია), წარმოშობით ხარაგაულიდან. არავინ იცის, რომელ წლებში გადაიყვანეს იგი თბილისში, სამართალდამცავ სტრუქტურებში, სადაც უმუშავია წლების განმავლობაში სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობაზე. სავარაუდოდ, ეს იყო 1920-1930 წლები. უფროს ვიქტორ ფუტკარაძეს მეუღლედ ჰყოლია მშვენიერი ქალბატონი ანა ახვერდოვა, რომელიც იგივე უწყებაში მუშაობდა პირველი პირის მდივან-მემანქანედ. უნდა ვივარაუდოთ, რომ უფროს ვიქტორ ფუტკარაძისა და ანა ახვერდოვას შეხვედრა-გაცნობა და შემდეგში საოჯახო რომანის წამოწყება მოხდებოდა თბილისში მას შემდეგ, რაც რაიონიდან ე.წ. ცენტრში გადაიყვანეს სამუშაოდ უფროსი ვიქტორი.

ასეა თუ ისე, შეიქმნა ტკბილი და მოსიყვარულე ოჯახი, რომელსაც სულ მალე შეეძინა ვაჟიშვილი, რომელსაც სახელად დაარქვეს გიორგი (გოგი).

საგვარეულო ხის შედგენის დროს ქალბატონმა თამარ მეზვრიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გერემოებას, რომ პაპასა და შვილიშვილს (ყველა თაობის) ჰქვიათ ერთი და იგივე სახელი: ვიქტორი - გიორგი (გოგი), ვიქტორი - (გიორგი) გორი. მართლაც, ნათესავეების გამოკითხვის შემდეგ, დაზუსტდა, რომ უფროსი ვიქტორ ფუტკარაძის მამასაც რქმევია გიორგი.

უფროსი ვიქტორ ფუტკარაძისა და ანა ახვერდოვას ახალგაზრდა ოჯახი არაფერი განსაკუთრებულობით არ გამოირჩეოდა სხვა ათასობით ოჯახისაგან. ის იყო მხოლოდ, რომ მეტად საპასუხისმგებლო სამსახური და მისგან გამომდინარე უფლება-მოვალეობები ჰქონდათ და მკაცრი სამუშაო რეჟიმიც.

როგორც იტყვიან – დრო გადიოდა, ოჯახი ძალებს იკრებდა, გიორგი (გოგი) იზრდებოდა, ქვეყანა თავის გზით მიდიოდა და ერთი შეხედვით ახალგაზრდა სოციალისტური ქვეყნის სიმშვიდეს და ადამიანთა კეთილდღეობას არაფერი ემუქრებოდა.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ყველაფერი მოჩვენებითი იყო. მალე ქვეყანაში დაიძაბა როგორც ეკონომიკურ-სოციალური, ისე საგარეო პოლიტიკა და შიდა სამართლებრივი სიტუაცია. მასობრივმა რეპრესიებმა შექმნა სრული ქაოსი და განუკითხაობა. საზოგადოებაში დაისადგურა შიშმა, დაუცველობის გრძნობამ, უიმედობამ, დაბეზლება-დასმენამ, ძალადობამ, უსამართლობამ და ა.შ.

მრავალი ოჯახისა და ადამიანის კეთილდღეობა და სიცოცხლე შეენირა გასული საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიებს.

მსახვრალი ხელი მისწვდა უფროს ვიქტორ ფუტკარაძის ოჯახსაც. ვიქტორი და ანა ახვერდოვა გადაასახლეს. მოგვიანებით ვიქტორი დახვრიტეს.

ოჯახს ბინა ჩამოართვეს და იმდროისთვის 17-18 წლის გიორგი (გოგი) ღია ცის ქვეშ დარჩა.

მძიმე სტრესულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ახალგაზრდა ცხოვრებას არ ნებდებოდა. განუწყვეტილად ეძებდა მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს.

სწორედ ამ დროს გაიწვიეს იგი ჯარში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასავლელად. წინასწარი მომზადების შემდეგ იგი მოხვდა სომხეთის დედაქალაქში მდებარე სამხედრო ნაწილში.

მაშ ასე, გიორგი (გოგი) ვიქტორის ძე ფუტკარაძე ჯარშია და სამსახურს ეწევა ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში.

სრულიად უცხო გარემოში და სიტუაციაში მოხვდა გიორგი. იმ შემთხვევაშიც კი, როცა კვირაში ერთხელ უშვებდნენ ქალაქში სასეირნოდ და გასართობად – სწრაფადვე ბრუნდებოდა სამხედრო ნაწილში, რადგან არავის იცნობდა ქალაქში და უცხო ადამიანებთან ურთიერთობებიც არ ლაგდებოდა. მთელი მონდომებით ითვისებდა ჯარისკაცისათვის აუცილებელ სასწავლო თუ საბრძოლო ილეთებს, იუმჯობესებდა ფიზიკურ კონდი-



მარცხნიდან მარჯვნივ.

სხედან: გიორგი (გოგი) ფუტკარაძე, ანა ახვერდოვა, როზა ბიშარიანი.
დგანან: მიხეილი (მიშკა) და ვიქტორ (ვიტია) ფუტკარაძეები



მარცხნიდან მეოთხე ვიქტორ (ვიტია) ფუტკარაძე ერევნის „სპარტაკის“
(შემდეგში „არარატის“) მოზარდ ფეხბურთელთა შემადგენლობაში

ციებს და კითხულობდა წიგნებს. ხშირად ახსენებოდა თბილისში ჩამორთმეული ბინა (ტაბიძის ქუჩაზე), ნაც-ნობ-ნათესავები და მეზობლები, დახვრეტილი მამა და გადასახლებული დედა. მწარე მოგონებებისაგან გული უმძიმდებოდა, მაგრამ ვაჟკაცურად იტანდა და უკეთესი მომავლის რწმენით, ბეჯითად განაგრძობდა ჯარისკაცურ სამსახურს.

სულ მალე გიორგის (გოგის) ცხოვრებაში მოხდა მეტად მნიშვნელოვანი რამ, რასაც იგი საერთოდ არ ელოდა და რამაც რადიკალურად შეცვალა მისი, ერთი შეხედვით, თითქმის პერსპექტივადაკარგული ცხოვრება. საქმე კი შემდეგში გახლდათ.

გიორგიმ (გოგიმ) ტრავმა მიიღო სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესრულებისას და გარკვეული დრო გაატარა ერევნის სამხედრო ჰოსპიტალში.

რამდენიმე დღის მკურნალობის შემდეგ გიორგიმ (გოგიმ) შეამჩნია, რომ ერთი, გარეგნული სილამაზით გამორჩეული, მედიცინის და მასთან უფრო ხშირად მიდიოდა, ვიდრე სხვებთან; მასთან საუბარს უფრო მეტ დროს უთმობდა, ვიდრე სხვასთან; წამალს თავის ხელით ასმევდა, სიცხეს წამდაუნუმ უზომავდა, ლოგინს უსწორებდა, საკვებს არ აკლებდა და შიგადაშიგ რაღაც ამბებსაც კი უყვებოდა მორიდებული კისკისით.

გიორგიმ, რაღა თქმა უნდა, შეამჩნია გოგონას მხრიდან გადამეტებული ყურადღება და რაღაცნაირი სიკეკლუცეც შეამჩნია მიხვრა-მოხვრაში.

ერთ მშვენიერ დღეს მათ ჯიქურ ჩახედეს ერთმანეთს თვალეზში. გიორგიმ თერმომეტრიანი ხელი დაუჭირა და ახლოს მიიზიდა. გოგონას თმების სურნელმა და გულის ბაგა-ბუგის ხმამ თავბრუ დაახვია მწოლიარე ვაჟკაცს. გოგონა მალე გამოერკვა და თმის სწორებით მორცხვად გადახედა პალატაში მწოლიარეთ.

იმ დღიდან დაწყებული რალაც უხილავი ძაფი გაიბა მათ შორის. ველარ ძლებდნენ უერთმანეთოდ. ორივეს პირად ცხოვრებაში მოხდა სასიხარულო ცვლილება, რაც იმით დამთავრდა, რომ სიყვარულში გამოუტყდნენ ერთმანეთს და სამუდამოდ ერთადყოფნაც შეჰფიცეს.

ეს გოგონა (ექთანო) გახლდათ ქ. ერევნის მკვიდრი როზა ბიშარიანი.

სულ მალე ოფიციალურად დაამკვიდრეს ახალი ოჯახი და შეუდგნენ ყოველდღიურ ზრუნვას მისი კეთილდღეობისათვის.

1944 წლის 6 მარტს ახალგაზრდა ოჯახს ეწვია პირველი დიდი სიხარული, ქვეყანას მოევლინა ვაჟი, რომელსაც გიორგიმ (გოგიმ) დაარქვა პაპის სახელი, ვიქტორი, რომელსაც მოფერებით ყველა ვიტიას ეძახდა.

ეს ის ვიტია (ვიქტორი) გახლავთ, რომლის ხანმოკლე სიცოცხლისა და წარმატებული სპორტულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებაც მოკრძალებულად მოგიყვებათ წინამდებარე მცირე მოცულობის წიგნი-ბროშურა.



ვიქტორ (ვიტია) ფუტკარაძე (მარჯვნიდან პირველი) ერევენელ თანატოლ ფეხბურთელებთან.



გორელი და ერევენელი მეგობრები ეჩმიაძინში.
წინა რიგში მარჯვნიდან პირველი ვიქტორ (ვიტია) ფუტკარაძე

აქვე დავსძენთ, რომ ქ. ერევანში დამკვიდრებულ გიორგი (გოგი) ფუტკარაძის ოჯახში მალე დაიბადა კიდევ ერთი ბიჭი, რომელსაც სახელად დაარქვეს მიხეილი (მიშკა).

გიორგი (გოგი) ფუტკარაძეს თავიდან ცოტა გასჭირვებია ცხოვრების აწყობა უცხო ქალაქში და უცხო გარემოში, თუმცა დიდი შრომისუნარიანობისა და საოცარი კომუნიკაბელურობის წყალობით ახალგაზრდა ოჯახი მტკიცედ დამდგარა ფეხზე. გიორგის მეუღლეს, როზას დაუნებებია თავი სამსახურისთვის და მთელი თავისი დრო დაუთმია ბავშვების აღზრდისა და ოჯახური სიტბოსათვის. გიორგი მარტო ეწეოდა უღელს, რაც არცთუ იოლი გახლდათ იმ წლებში (მეორე მსოფლიო ომი ჯერ არ იყო დამთავრებული. თუმცა, არც ომისშემდგომი 5-7 წელი იყო ადამიანებისთვის იოლი და დამაკმაყოფილებელი).

აი, როგორ ახასიათებს დედამთილს და მამამთილს ქალბატონი თამარ მეზვრიშვილი: „...ჩემი დედამთილი (როზა ბიშარიანი) დიდებული კულინარი და საოცარი გურმანი გახლდათ. მამამთილი გიორგი (გოგი) ავტობუსის მძღოლად მუშაობდა დიდი ხნის განმავლობაში და ასე ინახავდა ოჯახს. იგი იყო გამორჩეულად ჭკვიანი და სიმპათიური მამაკაცი, ახასიათებდა ხაზგასმული სიღინჯე...“

ქ. ერევანში ცხოვრობდა ასევე გიორგის (გოგის) უმცროსი ვაჟი მიხეილი (მიშკა), რომელსაც ჰყოლია სამი შვილი: გარიკა, ზარა და რუზანა. ისინი დაოჯახებულნი არიან და ცხოვრობენ ქ. ერევანში. მიხეილი (მიშკა) ფუტკარაძის სხეული კი მიიზარა სასომხეთის მიწამ.

ერევანი-ბათუმი-გორი

მას შემდეგ, რაც მეტნაკლებად გავეცანით ვიქტორ (ვიტია) ფუტკარაძის წინაპრებისა და ახლობელ-ნათესავების ვინაობას, მათ წარმომავლობას და განვლილ საცხოვრისო გზებს, მთელ ყურადღებას გადავიტანთ წიგნის მთავარი პერსონაჟის წარმოჩინებისაკენ, თუ როგორ შესძლო 41 წლის ახალგაზრდა კაცმა, თავისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში თავი შეეყვარებინა ათეულათასობით ადამიანისათვის, რომლებიც ვიტიას ტრაგიკული აღსასრულიდან 30 წლის შემდეგაც კი დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებენ მას და მის მიერ უხვად გაცემულ სიკეთეს.

ძნელია ასეთ ასაკში მოიპოვო საყოველთაო ყურადღება, პატივისცემა და საზოგადოების ფართო მასების კეთილი განწყობა, თუმცა ვიტია ეს შესძლო და შესძლო იოლად, თავისუფლად და ძალდაუტანებლად. ყველაფერი გამოსდიოდა ბუნებრივად და ლამაზად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვიტია დაიბადა ქ. ერევანში გოგი (გიორგი) ფუტკარაძისა და როზა ბიშარიანის ოჯახში. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე ჯერ კიდევ ერთი წელი იყო დარჩენილი. ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის სასომხეთშიც მკვეთრად შეიმჩნეოდა საყოველთაო გაჭირვება (სიცივე, უშუქობა, საკვების მკაცრი დეფიციტი, დაჭრილთა და დაღუპულთა სიმრავლე და ა.შ.). ძნელი

იყო ცხოვრება, მაგრამ გოგისა და როზას ახალგაზრდა ოჯახმა გაუძლო ყოველგვარ გასაჭირს შრომისმოყვარეობისა და საოცარი მონდომების წყალობით წელგამართულნი შეხვდნენ გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს.

ვიტია შეიყვანეს ქ. ერევნის რუსულენოვან სკოლაში. აღსანიშნავია, რომ იგი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ბიჭური სიცვლეკით. მის გარშემო მუდამ მხიარული ატმოსფერო სუფევდა. ბავშვებს ძალიან მოსწონდათ



მარჯვნიდან პირველი - ვიტია (ერევნის გუნდთან ერთად) სათამაშოდ იყო ჩრდ. კავკასიაში. თამაში დაემთხვა არჩევნების დღეს. ვიტიამ პირველად მიიღო მონაწილეობა არჩევნებში და ხმა მისცა თავის რჩეულს.

მასთან ურთიერთობა. ყოფილა საოცრად მოძრავი და მოუსვენარი. მუდამ ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

დრო გადიოდა. ცხოვრება უმჯობესდებოდა. ვიტია იზრდებოდა; კლასიდან კლასში შეუფერხებლად გადადიოდა; ერთდროულად სწავლობდა საუბარს რუსულ და სომხურ ენებზე. სწრაფად ითვისებდა გაკვეთილებს და თავისუფალ დროს ბურთს დასდევდა და ურტყამდა. სულ მალე ვიტიას საფეხბურთო ტექნიკის ამბები გასცდა უბნის ფარგლებს და მიაღწია ქალაქის ფეხბურთის ფედერაციასა და ერევნის „სპარტაკის“ (შემდგომში „არარატის“) მესვეურებამდე, რომლებმაც სიცოცხლით სავსე ჭაბუკში დაინახეს ის ნიშან-თვისებები, რომელთა მეთოდურ და სისტემატიურ დახვეწას მივყავართ წარმატებული სპორტსმენის ჩამოყალიბებამდე. ასეც მოხდა და სულ მალე ფუტკარაძეების ოჯახში საზეიმო ვითარებაში აღინიშნა ორი მნიშვნელოვანი მოვლენა – ვიტიას მიერ საშუალო სკოლის დამთავრება და მისი ჩარიცხვა საფეხბურთო გუნდ „არარატში“. თითქმის ოთხი სეზონი ითამაშა ვიტიამ „არარატში“ და ათიათასობით გულშემატკივარს დაამახსოვრა და შეაყვარა თავი ლამაზი, ტექნიკური და კომბინაციური თამაშით, მოედნის კარგი ხედვით, ზუსტი ჩანოდებებით და, რაც მთავარია, საოცრად მოულოდნელი და ძლიერი დარტყმებით, რაც უწყვეტ ოვაციებს იწვევდა ტრიბუნებზე.

ვიტიამ, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო ინსტიტუტში სამკურნალო ფიზიკულ-



მარჯვნიდან მეორე ვიქტორ (ვიტია) ფუტკარაძე ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელებთან (1965-1966 წ.წ.)



მარცხნიდან: ოლია ფუტკარაძე, ბაგრატ გოცირიძე. ვიქტორ (ვიტია) ფუტკარაძე და ლუბა ფუტკარაძე (1979 წ.)

ტურის სპეციალობით. ძნელი იყო ორი საქმის ერთდროულად კეთება (მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საფეხბურთო გუნდ „არარატთან“ ერთად გადაადგილება და ძალაგამომცლელი თამაშები და ლექცია-სემინარები, კონსპექტები, ჩათვლები, გამოცდები და ა.შ.), მაგრამ ვიტია იოლად ართმევდა თავს ორივე მიმართულებას თავისი ნიჭიერებით და საოცარი მონდომებით, სხარტი აზროვნებით და მოქმედებით, მიზანდასახულობით და ჯიუტი სწრაფვით და ყველაფერი ეს კეთდებოდა ვიტიას მართლაც რომ შინაარსიანი და მომნიბვლელი იუმორის თანხლებით.

ახლა ორიოდ სიტყვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამ და როდის მისცა ბიძგი ვიტიას დასახლებას ქ. გორში.

ვისარგებლოთ ვიტიას მეუღლის ქალბატონ თამარ მეზვრიშვილის ჩანაწერებით:

„...1960 წელს ქ. გორში ჩატარდა ამიერკავკასიის მოზარდ ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრი. გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის სტადიონის (მაშინ ასე ეწოდებოდა) ტრიბუნები გადატენილი იყო გულშემმატკივრებით, ძირითადად ახალაგზრდებით.

ერთ-ერთი თამაშის დაწყების წინ, გორელმა ახალგაზრდა კალათბურთელმა და, ბუნებრივია, ქართული გუნდის გულშემმატკივარმა როლანდ გოცირიძემ ყურადღება გაამახვილა ადგილობრივი დიქტორის მიერ ერევნის გუნდის შემადგენლობაში გამოცხადებულ ფეხბურთელზე, ვიქტორ ფუტკარაძ-

ეზე. ყურადღება გაამახვილა კი არა და, საამო მალამოსავით მოეცხო გულზე დედის გვარის, ფუტკარაძის გაგონება, თანაც სასომხეთის გუნდის შემადგენლობაში. თამაშის შემდეგ როლანდი გაეცნო ვიტის და მიინვია ოჯახში.

ბაგრატ გოცირიძისა და ოლია ფუტკარაძის ოჯახი იყო უმაღლესი დონის ინტელიგენტთა, თვალსაჩინო და თითოთ საჩვენებელი ოჯახი (ბაგრატ გოცირიძე – პროფესიონალი პარტიულ-სამეურნეო და საზოგადო მოღვაწე. ომის ვეტერანი, პუბლიცისტი, მრავალი ორდენის, მედლის, სიგელის და პრემიის მფლობელი; ოლია ფუტკარაძე – დამსახურებული ექიმი-თერაპევტი, საოცრად თბილი და სტუმართმოყვარე ადამიანი).

გაიხარეს გოცირიძეების ოჯახში დედის მოგვარის გამოჩენით. მალე გაირკვა, რომ ქალბატონი ოლიას მამა ვლადიმერ ფუტკარაძე და ვიტის პაპა ვიქტორ ფუტკარაძე იყვნენ ძმები. ანუ როლანდ გოცირიძემ ოჯახში მიიყვანა შემთხვევით გაცნობილი უახლოესი ნათესავი ვიტია. აი, აქედან დაიწყო ვიტის გორში ჩამოსვლის პროცესი, რაც მალე დამთავრდა. 1967 წელს იგი უკვე გორის საფეხბურთო გუნდის მოთამაშე გახლდათ. მანამდე კი იყო თბილისიც, ბათუმიც.

უდიდესი სიახლოვე და სითბო იგრძნო ვიტამ ბაგრატ გოცირიძისა და ოლია ფუტკარაძის ძირძველ გორულ ოჯახში, სადაც იზრდებოდა სამი შვილი – ნანული, როლანდი და დალი. მათ როგორც საკუთარი შვილი და როგორც ძმა, ისე მიიღეს ვიტია; არ აკლებდნენ ყურადღებას და მზრუნველობას. როლანდის და ვიტის ეძინათ ერთ ოთახში...”



ოლია და ვიტია
ფუტკარაძეები



როლანდ გოცირიძე და
ვიტია ფუტკარაძე



ვიტია და თამარი მეჯვარე
გუჯა რიკრიკაძესთან ერთად.
(1969 წ.) შეუღლების დღე



თენგიზ ბურჯანაძე და ვიტია.
(1982 წ.)

სამწუხაროდ აღარ არიან ჩვენს შორის ბაგრატ გოცირიძე, ოლია ფუტკარაძე, როლანდი და ვიტია. ნანული და დალი გოცირიძებს კი არასოდეს დაავიწყდებათ შემთხვევით აღმოჩენილი საყვარელი ბიძაშვილი.

ნანული და დალი გოცირიძეები:

„ვიტიას პაპის, ვიქტორ ფუტკარაძის ოჯახი რეპრესირებული იყო. ვიქტორი და მისი მეუღლე, ანა ახვერდოვა, ციმბირში იყვნენ გადასახლებული. ქალბატონი ანა თბილისური წარჩინებული ოჯახიდან იყო. მისი ბიძა, გამოჩენილი სომეხი მწერალი, ოვანეს თუმანიანი. მათ ჰყავდათ ერთადერთი ვაჟი გიორგი, რომელსაც გოგის ეძახდნენ. მშობლების გადასახლების გამო იგი შეჭირვებულ მდგომარეობაში იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. სამხედრო სამსახურს გადიოდა ერევანში, სადაც გაიცნო მომავალი მეუღლე როზა და შექმნა ოჯახი. ვინაიდან თბილისში მშობლები აღარ ეგულებოდა, ერევანში დამკვიდრდა. მათ შეეძინათ ორი ვაჟი: ვიქტორი (ვიტია) და მიხეილი (მიშკა).

ქალბატონი ანა რეპრესიებამდე მუშაობდა ბერიას კანცელარიაში. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ერევანში გაემგზავრა შვილთან და იქ დარჩა საცხოვრებლად. იგი რეაბილიტირებული იქნა და ერევანში დაიწყო მუშაობა. ვინაიდან ქალბატონ როზას უჭირდა ორი ვაჟის მოვლა,


ვიტია ანამ წაიყვანა და მისი აღზრდა იკისრა. ვიტისათან ურთიერთობისას აშკარად ჩანდა მისი კარგი აღზრდა. ის იყო ძალიან კეთილი, უანგარო, ჭკვიანი, შრომისმოყვარე და თავაზიანი პიროვნება. მას უამრავი მეგობარი ჰყავდა ერევანშიც და საქართველოშიც, კარგად გამოსდიოდა ადამიანებთან კომუნიკაცია.

ვინაიდან ერევანში გვარის გადაკეთება მოსთხოვეს, ვიტის მამამ კატეგორიული უარი განაცხადა, ამიტომ ვიტია იძულებული იყო წამოსულიყო ერევნის „არარატიდან“ და თბილისში დაიწყო თამაში „ლოკომოტივში“. მამიდის – ოლია ფუტკარაძის თხოვნით გადმოვიდა გორში და დაიწყო „დილაში“ თამაში. ცხოვრობდა მამიდასთან. ჩვენმა ოჯახმა ვიტია მიიღო როგორც საკუთარი შვილი, ჩვენ – როგორც საყვარელი ძმა.

გორში იპოვა თავისი სიყვარული – თამრიკოს სახით, რომელიც დაატყვევა თავისი გარეგნობით და ყურადღებით. ვიტის ჰქონდა სასიამოვნო ხმა, კარგად მღეროდა. ჰქონდა აბსოლუტური სმენა, ძლიერ უყვარდა მუსიკა. სალამოობით ვსაუბრობდით სპორტზე, ხელოვნებაზე, მუსიკაზე. ფრანგული იმპრესიონიზმი მისი ჰობი იყო.

ქართველები ამბობენ, როცა ადამიანი გარდაიცვლება, ის თავის შვილებში განაგრძობს სიცოცხლეს. როცა ვიტის შვილებს – ირინეს და გიორგის ვუყურებთ, თვალწინ ვიტია გვიდგას. არა ვიტია არ მომკვდარა! ის სიცოცხლეს განაგრძობს თავის შვილებსა და შვილიშვილებში.“

ვიტია და
ირინე.
1972. წ.



ერთად ყოფ-
ნის სიბოლო.
1981 წ.



ისევ ქალბატონ თამარ მეზვრიშვილის (ვიტიას მეუღლის) ჩანაწერები მოვიშველიოთ:

„...ქალბატონ ოლიას უკითხავს ვიტიასთვის, თუ ვინ იყვნენ მისი მშობლები. პასუხმა ერთიანად გააოცა გოცირიძეების ოჯახი, როცა შეიტყვეს, რომ ვიტიას პაპა ვიქტორ ფუტკარაძე იყო ოლიას მამის ვლადიმერის ძმა და რომ მისი ბიძოლა ანა ახვერდოვა დაბრუნდა გადასახლებიდან და ცხოვრობს ერევანში.

ქალბატონი ოლია, სომეხ ფეხბურთელებთან ერთად მატარებლით ჩასულა ერევანში, მოუნახულებია და გულში ჩაუხუტებია ანა ბიძოლა და გორში წამოუყვანია. ასე და ამგვარად განახლდა მათი ნათესაური ურთიერთობები, გულმა გულს გაუგო, ერთმანეთისკენ გაიწიეს და მჭიდრო და თბილ ნათესაურ დამოკიდებულებებს მოკლებულმა ვიტია მ საქართველოსკენ წარმათა თავისი სამომავლო მზერა. ეს ის დრო იყო, როცა ვიტია მ საშუალო სკოლა დაამთავრა და მტკიცედ მოიკიდა ფეხი ერევნის საფეხბურთო გუნდში...“

ერთი არასასიამოვნო ფაქტის გახსენება მოგვიწევს, რამაც დააჩქარა ვიტიას მიერ სასომხეთიდან საქართველოში გადმოსვლის პროცესი.

ვიტიას „არარატის“ შემადგენლობაში „თავისი ადგილი“ ჰქონდა და მაღალი სპორტული შემართებით იცავდა გუნდისა და ქვეყნის ღირსებას.

ერევანში ჩატარებული ერთ-ერთი თამაშის დროს,

ადგილობრივ რადიოინფორმატორს შემადგენლობის გამოცხადების დროს ვიტია მოუხსენებია (გამოუცხადებია), როგორც ფუტკარიანცი. ამ ფაქტმა სასტიკად გააბრაზა ვიტის მამა გიორგი (გოგი), რომელიც მზად იყო შვილისთვის აეკრძალა ფეხბურთის თამაში.

ამ ინციდენტს შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაევლო, თუკი იმავე დღეს იქნებოდა მივინყებული, მაგრამ არა... როგორც ქალბატონი თამარ მეზვრიშვილი იხსენებს – ზენოლამ ოჯახზე მიიღო სისტემატური ხასიათი, მოითხოვდნენ გვარის გადაკეთებას ან დედის გვარზე (ბიშარიანი) გადასვლას.

მამა-შვილისთვის საკითხის ასე დაყენება კატეგორიულად მიუღებელი იყო და საგონებელში ჩავარდნილები გამოსავალს ეძებდნენ.

ვიტიას ინსტიტუტშიც შეუქმნეს პრობლემები. ვითარება დაიძაბა.

გაიგეს რა ეს ამბები ქალბატონმა ოლიამ და ბატონმა ბაგრატმა, ურჩიეს ვიტის, რომ იქაურობას გასცლოდა და სასწრაფოდ ჩამოსულიყო საქართველოში, თავისი მხრიდან კი ჰპირდებოდნენ ყოველგვარ დახმარებას და მხარში დგომას.

ვიტიამ, რომ იტყვიან, აიკრა გუდა-ნაბადი და მიაკითხა თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდს, საიდანაც მალე გადავიდა ქ. ბათუმში და ჩაიცვა იქაური „დინამოს“ მაისური. სულ სამი საფეხბურთო სეზონი გაატარა ბათუმის დინამოში, მაგრამ ყოველ ჭეშმარიტ



მარცხნიდან:
სოსო მერაბაშვილი,
ზურაბ კაჭკაჭიშვილი,
ვიტია ფუტკარაძე
სტალინის
სახლ-მუზეუმთან.



მარცხნიდან:
გივი გივიაშვილი,
რობიზონ ნინოშვილი,
ვიტია ფუტკარაძე.

ბათუმელ გულშემატკივარს პირზე ეკერა მისი სახელი. ბათუმელებს მალე შეაყვარა თავი დახვეწილი ტექნიკით, საფეხბურთო აზროვნებით და მოედანზე სწრაფი მანევრირებით. პირველად ბათუმში გამოამჟღავნა ვიტამ კომბინაციური თამაშის ნიჭი, დროული და ზუსტი გადაცემების ტექნიკა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოულოდნელი და ძლიერი დარტყმის უნარი.

1967 წელს გორის „დილა“ საფეხბურთო სეზონისათვის მზადებას გადიოდა ქ. ბათუმში. შემთხვევითი არ ყოფილა ვიტას და გორის „დილას“ ხელმძღვანელების შეხვედრა და გულახდილი საუბარი. ვიტას გული მოუწევდა გორისკენ, სადაც ეგულებოდა სანათესაო ბაგრატი გოცირიძის, ოლია ფუტკარძისა და მათი შვილების სახით. „დილას“ მწვრთნელებთან“ და ფედერაციის ხელმძღვანელებთან შეხვედრებმა და საუბრებმა სასიკეთო შედეგი გამოიღო. მალე ვიტა ფუტკარაძე გახდა გორის „დილას“ ფეხბურთელთა გუნდის წევრი. იდგა 1967 წელი. დაიწყო ვიტას ცხოვრებაში კიდევ ერთი ახალი ეტაპი, ყველაზე საინტერესო, ყველაზე მრავალფეროვანი და შინაარსიანი და, სამწუხაროდ, ყველაზე ტრაგიკულიც, რის შესახებაც საუბარი ქვემოთ გვექნება.

სულ სხვა ელფერი მიიღო გორის „დილას“ თამაშებმა. ვიტას ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებისათვის საჭირო გახდა ტაქტიკური გადაადგილებები და ახლებური ლოკალური, მაგრამ დინამიური ცვლილებების განხორციელება, რამაც მეტი ძალა

შესძინა „დილას“ შემტევ ჯგუფს და მთლიანად გუნდსაც.

გორის „დილას“ ასაკოვან გულშემატკივართა საერთო აზრით, იმ წლების (1968-1972) გუნდი, თავისი შემადგენლობით და თამაშის ხარისხით, საუკეთესო იყო კოლექტივის არსებობის ისტორიაში.

აღნიშნულ პერიოდში ქ. გორი „დაავადებული“ იყო ფეხბურთით. ტრიბუნები ვერ იტევდა მაყურებელს. ჭირდა თამაშზე დასასწრები ბილეთის შეძენა, ათასობით გულშემატკივარს ჰქონდა აბონემენტი.

თამაშის დღეს განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნობოდა წარმოება-დანესებულებებში. საათებზე ხშირ-ხშირად იხედებოდნენ – სამუშაო საათების დამთავრებას სულმოუთქმელად ელოდნენ, რათა სტადიონისკენ გაქცეულიყვნენ.

საყოველთაოდაა ცნობილი ის, რომ კარგი მუსიკა, კარგი სპორტული სანახაობა, იუმორისტული ნაწარმოები და ა.შ. პოზიტიურ გავლენას ახდენენ ადამიანის გუნება-განწყობილებაზე და, აქედან გამომდინარე, მის შემოქმედებაზე.

თქვენს მონა-მორჩილს ახსოვს საგაზეთო წერილები, სადაც საუბარი იყო სპორტის დადებით გავლენაზე და მოყვანილი იყო ციფრობრივი მონაცემებიც კი. კერძოდ, როდესაც თბილისის „დინამომ“ მოიგო პრინციპული თამაში, გაზეთები წერდნენ, რომ მეორე დღეს თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში შრომის ნაყოფიერება 10%-ით გაიზარდა.

არავის დაუთვლია, თუ მოგებული თამაშის შემდეგ

რამდენი პროცენტით იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება გორის სანარმოებში, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ მეორე დღეს ყველა კარგ ხასიათზე იყო, ყველა რალაცნაირ სიხარულს შეეპყრო და ყველას მომატებულად ჰქონდა საზეიმო განწყობილება.

დიახ, იმ წლების გორის „დილამ“ მრავალჯერ გაახარა თავისი გულშემატკივარი კარგი თამაშით, ლამაზი კომბინაციებით და მეტოქეების კარში გატანილი გოლების სიუხვით. დიახ, იმ წლებში განსაკუთრებით ბევრი გოლი გაჰქონდათ გორელ ფეხბურთელებს. სტატისტიკას შემონახული აქვს „დილას“ მიერ ერთ თამაშში გატანილი 4, 5, 6 და 9 გოლიც კი.

დაჰქროდნენ მინდორზე ვ. ფუტკარაძე (ვიტია), თ. ბურჯანაძე, ვ. კაპანაძე (პიტა) და ძმანი მათნი და ტრიბუნებს გაჰქონდა გრიალი. პატარა ბიჭები თითებზე ითვლიდნენ გატანილ გოლებს. სუფევდა საყოველთაო ზეიმი და სიხარული, რომლის ერთ-ერთი შემოქმედიც გახლდათ გორის „დილას“ შედარებით ახალი წევრი ვიქტორ (ვიტია) ფუტკარაძე.

უხვგოლიანი თამაშებიდან ერთი მეტად საინტერესო მატჩი გაიხსენა ყოფილმა ფეხბურთელმა, **ტარიელ შოთნიაშვილმა**:

„...ქალაქში ხმა გავრცელდა, გორში ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ჩამოდის გერმანიის გუნდი სახელწოდებით „07-ბადნოიარი“-ო. მალე აფიშებიც გამნოჩნდა და საბილე-

თო ციებ-ცხელებაც დაიწყო. მაშინ იშვიათობა იყო უცხოური საფეხბურთო გუნდების სტუმრობა, ამიტომ მთელი აჟიოტაჟი იყო ატენილი – არაფერში შევრცხვეთ გერმანელებთანო. საყოველთაო განსჯის საკითხად იქცა სტუმარი გუნდის სახელწოდებაში მინიშნებული „07“. არავინ იცოდა, რას ნიშნავდა ეს რიცხვი. ზოგი ამბობდა, ალბათ, 1907 წელს ჩამოყალიბდა კლუბიო, მავანი მარჩიელობდა, რომ კლუბის მეპატრონის საყვარელი რიცხვი იქნებაო და ა.შ. გაუთავებლად კამათობდნენ ორი დღის განმავლობაში და დადგა თამაშის დაწყების დროც. ტრიბუნები სავსე იყო; ჭიშკარს ისევ აწვებოდა უბილეთოდ დარჩენილთა მთელი „არმია“, როცა ადგილობრივმა დიქტორმა დაიწყო შემაღვენლობის წარდგენა.

ტრიბუნებზე ჭორმა (თუ მართალმა) ჩამოიარა – წუხელის გერმანელები ისე დაათვრეს „ინტურისტის“ რესტორანში, რომ ფეხზე ძლივს იდგნენო.

გორელებმა შვიდი ბურთი გაუტანეს სტუმრებს და „07“-ის პრობლემაც ღიმილ-სიცილით მოხსნეს.

სამი ბურთი გაიტანა ვიტამ (ვიქტორ ფუტკარაძემ), რომელთაგან ერთი იყო ულამაზესი. შორი მანძილიდან, უძლიერესი და უზუსტესი დარტყმით, რომ იტყვიან – აბლაბუდები ჩამონმინდა მეკარისგან მარჯვენა „ცხრიანში“.

მაშ ასე, ვიტია უკვე გორშია, ცხოვრობს გოცირიძეების ოჯახში, თამაშობს გორის „დილას“ ფეხბურთელთა კოლექტივში და ცხოვრება მიდის თავის გზით.



გორის „დილას“ ფეხბურთელთა გუნდი. 1969-70 წ.წ.
 მარცხნიდან წინა რიგში: მაღსაზ კობიაშვილი, ვიტია ფუტკარაძე, გივი გელდიაშვილი, რობერტ ამბრიაშვი-
 ლი, ვანო გლაგვაძე, თამაზ სტეფანია, მესხაძე, ვიქტორ კაპანაძე (პიტა).
 უკანა რიგში: თამაზ ბუზალაძე, ვლ. ივანიფი, სულიკო თბილელაშვილი, როლანდ ნასყიდაშვილი, ჯემალ
 მარდიშვილი, ვიტალი გრძელიშვილი, ბადრი ქანტურია, ზავენ ვანიშვილი, თენგიზ ბურჯანაძე, ვლ. კოზინი.

სათქმელად და დასაწერად ადვილია: „ცხოვრება მიდის თავის გზით...“, მაგრამ რამდენი რამ არის ჩაქსოვილი ამ სიტყვებში: ბავშვობა, სიჭაბუკე, სიჭარმაგე, სიხარული, ნაღველი, წარმატება, ხელმოცარულობა, გაოცება, აღტაცება, ცრემლი, სისხლი, ოფლი, დაღლა და ა.შ. და ა.შ.

23 წლის ვიტიას ჯერ მხოლოდ ბავშვობა და სიჭაბუკე ჰქონდა გამოვლილი და ძალიან ბევრი რამ წინ ელოდა, თუმცა ბევრი რამ უკვე ნახა და განიცადა – პაპის დახვრეტა, ბებიის გადასახლება, წართმეული ბინა და ა.შ.

დიახ, ყველაფერი ეს განიცადა და გადაიტანა ვიტია... დიახ, ცხოვრება თავის გზით მიდის და ყოველი სულიერი, ნებსით თუ უნებლიედ, მისდევს მის დინებას, თუმცა, ისტორია იცნობს ბევრ ადამიანს, რომელიც ბრმად არ მიჰყვებოდა დინებას და მუდამ იმის მცდელობაში იყო, რომ ბრძოლით და შრომით გაეკაფა „თავისი სავალი გზა“ და „თავისი კვალი“ ღრმად დაეტოვა ცოდვებით სავსე დედამიწაზე.

ვიტია იყო სულიერად ძლიერი პიროვნება. გარეგნულად ვერავინ შეამჩნევდა თუ რამდენი ჭირთათმენა არგუნა ბედმა. იგი ყოველთვის შემართული და სახეგახსნილი დააბიჯებდა ქალაქში თუ სპორტულ მოედნებზე და სიკეთით შემკული ხასიათით ცდილობდა საუკეთესო განწყობის შექმნას ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებაში.

გორში გადმოსვლით და დამკვიდრებით, ერთგვარი

შეება იგრძნო ახალგაზრდა კაცმა. დამშვიდდა, დაისვენა და იმედით შეუდგა თავისი მომავალი ბედისა თუ კარიერის მშენებლობას. გოცირიძეების ოჯახი მყარად ედგა მხარში და მარტოობას აღარ განიცდიდა. ვიტიამ სულ მალე გაიჩინა სანდო ადამიანების დიდი ჯგუფი. იგი გამოირჩეოდა საოცარი კომუნიკაბელურობით და ადვილად აღწევდა ადამიანთა გულებად. დიდთან დიდი იყო და პატარასთან პატარა; დაუზარელი და ენერგიული მუდამ მზად იყო სხვისთვის ხელის გასანოდებლად.

ვიტია გრძნობდა, რომ სრული ბედნიერებისა და წარმატებული მომავლის უზრუნველყოფისათვის საჭირო იყო კიდევ ბევრი რამ და დაიწყო ფიქრი უმაღლეს სასწავლებელში მონყობასა და ყოველი მამაკაცისათვის, განსაკუთრებით კი ქართველისათვის, იმ სანუკვარი ოცნების აღსრულებაზე, რასაც ჰქვია მყუდრო და მოსიყვარულე ოჯახის შექმნა და მონაგარის დამკვიდრება მაღლიან და მირონცხებულ მამა-პაპურ მიწაზე.

ვიტიამ სწავლა გააგრძელა გორის, ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1972 წელს. პარალელურად განაგრძობდა საფეხბურთო საქმიანობას ჯერ ფეხბურთელის რანგში, მოგვიანებით კი (1970 წ.) დაინიშნა გორის „დილას“ უფროს მწვრთნელად.

ახლა კი რამდენიმე წლით დავიხიოთ უკან და გავიხსენოთ ვიტის ცხოვრებაში, ალბათ, ყველაზე საუკეთეს-

სო და სანატრელი პერიოდი, როდესაც მან და მშვენიერ-
მა გოგონამ, თამარ მეზვრიშვილმა შექმნეს საკუთარი
ოჯახი და მოჭიკჭიკე და დაუზარელი მერცხლებივით
შეუდგნენ სამყოფელის ბალავარისა და კედლების მშე-
ნებლობასა და განმტკიცებას.

ქალბატონ თამარზე უკეთესად ვერავინ წარმოაჩენს
ახალგაზრდა ოჯახის ისტორიას. ამიტომ, მოვუსმინოთ
მას:

„...იდგა 1967 წლის გვიანი შემოდგომა. შიდა ქართლი
აბინავებდა უხვ მოსავალს და ემზადებოდა ზამთრისთვის.
მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ოც წელზე მეტი იყო
გასული და აღმშენებლობითი ხუთწლედების შემდეგ ქვეყ-
ანას აშკარად ეტყობოდა პროგრესი ყველა სფეროში. აიხა-
და ე.წ. „რკინის ფარდა“ და საქართველოშიც შემოაღწია იმ
დროისათვის მოდურმა ჩაცმულობამ, ევროპულმა საესტრა-
დო მუსიკამ, განვითარებულმა სანარმოო ტექნოლოგიებმა და
ა.შ. საზოგადოებას დაეტყო კეთილდღეობა, ადამიანები გახ-
ალისდნენ და გააქტიურდნენ. გარდა კალენდარული (1 მაი-
სი, 7 ნოემბერი, 9 მაისი, 5 დეკემბერი და ა.შ.) საყოველთა-
ოდ დამკვიდრებული სადღესასწაულო დღეებისა, ფართოდ
მოიკიდა ფეხი ე.წ. კაფე-სალამოებმა, რომლებიც უმეტეს
შემთხვევაში ეწყობოდა სანარმოებისა და სხვადასხვა ორ-
განიზაციების სააქტო დარბაზებში თუ კლუბებში. ძირითა-
დად შრომითი კოლექტივების ფართო ჩართულობით. ასეთი
კაფე-სალამოები მეტწილად ეძღვნებოდა: რაიმე სახელმწი-

ფოებრივ ჯილდოს მიღებას, დიდ მეცნიერულ აღმოჩენას ან მიღწევას, გამოჩენილი სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწის საიუბილეო თარიღს, გეგმის გადაჭარბებით შესრულებას, მსოფლიო სპორტულ არენაზე წარმატებას და ა.შ.

სწორედ ასეთი ტიპის კაფე-სალამოზე მოვხვდი გვიანი შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს. მოვხვდი-მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ მაშინ მხოლოდ მე-10 კლასის მოსწავლე ვიყავი და ჩემს მიპატიჟებაზე არავინ იფიქრებდა. სალამოზე მოვხვდი ჩემი დის, თინათინის წყალობით, რომელიც ვახტანგ ყანჩაველთან (ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი) ერთად იყო ღონისძიების ხელმძღვანელი. კაფე-სალამო ჩატარდა გორის სამუსიკო სასწავლებლის დიდ დარბაზში. მონვეულ სტუმრებს შორის იყვნენ გორის „დილას“ ფეხბურთელთა გუნდის მესვეურები და მოთამაშეები. სწორედ იმ სალამოს ვნახე პირველად ვიტია, რომელიც სულ ახალი ჩამოსული იყო გორში და რომლის შესახებაც უკვე დაირხა ხმები, რომ ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავიაო.

ფეხბურთისა მაშინ ბევრი არაფერი მესმოდა, მაგრამ ვიტია მ რომ ძალიან მცირე დროში ასეთი პოპულარობა მოიპოვა, უკვე საინტერესოს ხდიდა მის პიროვნებას. ჩემი დისგან ფარულად რამდენჯერმე გავაპარე მზერა ვიტიასკენ. მონესრიგებული გარეგნობის ახალგაზრდა ძალიან მოძრავი და მხიარული იყო. მის გარშემო მყოფნი ხშირად გულიანად იცინოდნენ – ეტყობოდა, რომ ვიტია საინტერესო და სასაცილო ამბებს უყვებოდა. ვიტია ძალიან აქტიური იყო – ცეკვავდა, ხუმრობდა, მღეროდა და ტაშსაც ხშირად იმსახურებდა.

იმ საღამოს მეც ვიცეკვე ჩემი საყვარელი „ქართული“. დამსწრე საზოგადოებას ძალიან მოეწონა ჩემი „შემოქმედება“ და ოვაციებით გამოხატა თავისი აღფრთოვანება. მოგვიანებით გავიგე, რომ ვიტიასაც ძალიან მოსწონებია ჩემი ცეკვა და, თურმე, მთელი საღამო თვალყურს მაღევნებდა. ცოტა მოგვიანებით კი ვიტია იმდენად გათამამდა, რომ დარბაზის აპლოდისმენტების თანხლებით მომიძღვნა სიმღერა „...ოჰ... სირუმ, სირუმ...“

იმ ბედნიერ კაფე-საღამოზე ჩვენს გულებს შორის გაიბარალა უხილავი ძაფი, რომელიც მომდევნო წლებში თანდათან უფრო დამოკლდება, სულ უფრო დაგვაახლოვებს და ბოლოს შეგვეკრავს ერთ მოსიყვარულე ოჯახად, ერთ ბედნიერ ქვრქვეშ. ეს მოხდება 1969 წლის 30 ივნისს, მანამდე კი: დავამთავრე გორის II საშუალო სკოლა და იმავე წელს გავხდი ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი. ვიტიამაც უფრო მყარად მოიკიდა ფეხი ქ. გორში. წარმატებით აგრძელებდა თავის საქმიანობას, სწავლასაც დიდ ყურადღებას უთმობდა და ახლობელ ადამიანთა წრის გაფართოებასაც. უამრავი ადამიანის ყურადღებითა და პატივისცემით იყო გარემოცული და არც თვითონ რჩებოდა ვალში – კარგად გამოსდიოდა უანგარობა, სიკეთის კეთება, მადლის დაფასება.

ვიტია ჩქარობდა ოჯახის შექმნას. ხშირად ვსაუბრობდით ამ თემაზე, მაგრამ მშობლები თვლიდნენ, რომ ჩემი გათხოვება ნაადრევი იყო (ქალბატონი თამარის მშობლები იყვნენ: დედა – მერი ჭილაძე, დამსახურებული ექიმი-სტომატოლოგი,

ღირსების ორდენის კავალერი; მამა – მიხეილ მეზვრიშვილი, ისტორიკოსი, ღვანლმოსილი ქორეოგრაფი).

მოხდა მოულოდნელი რამ. ჩემმა მშობლებმა გაცნობისთანავე მოიწონეს ვიტია, ძალიან შეიყვარეს როგორც შვილი, გულთბილად გაუღეს ჩვენი ოჯახის კარი. ვიტია განსაკუთრებით შეუყვარდა ჩემს ძმას გიას, რომლებიც ძმებივით უფრო იყვნენ, ვიდრე სიძე-მოყვრულად.

1969 წლის 30 ივნისს მე და ვიტიამ დავიდგით საოჯახო უღელი, რომელსაც ერთგულად და დიდი სიყვარულით ერთად ვენეოდით 1985 წლის 25 აგვისტომდე, იმ საშინელ დღემდე, როდესაც გაძარცვის მიზნით მისულმა გარენრებმა სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს სახლში მარტოდმყოფ ვიტიას...

ვიტია აღმოჩნდა საოცრად მეოჯახე მამაკაცი. გადაფორილი იყო თავის ოჯახზე და რომ იტყვიან, „ცივ ნიავსაც არ აკარებდა“. ყველაფერს თვალყურს ადევნებდა, ყველაფერს ითვალისწინებდა, ორჯერ თქმა არ სჭირდებოდა და, რაც ყველაზე მთავარია, ნებისმიერი საკითხის გადაჭრაში აქსოვდა მთელ თავის შესაძლებლობას და უანგარო სიკეთეს.

გაზვიადება არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მე და ვიტიამ შევექმენით თითოთ საჩვენებელი სტუმართმოყვრული ოჯახი. ჩვენი სახლის კარები სულ ღია იყო... ჩვენთან სტუმრობა ყველას იზიდავდა და სურდა.

ვიტია იყო საოცრად სტუმართმოყვარე. არც ტრადიციული ქართული სუფრის მაღლს მოაკლებდა ვინმეს და არც ცეკვა-სიმღერას თუ იუმორისტულ ამბებს. ხშირად იტყოდა

ხოლმე – რაც მეტ ადამიანს მოვეფერებით, რაც მეტ ადამიანს ვცემთ პატივს, მით უფრო ძლიერები ვიქნებითო.

სიამტკბილობაში და ურთიერთ სიყვარულში გადიოდა დღეები, თვეები... ახალგაზრდა ოჯახი მტკიცედ დგებოდა ფეხზე და ფრთების გაშლის ჟამიც ახლოვდებოდა.

1971 წლის 20 თებერვალს ჩვენ უკვე სამნი გავხდით – შეგვეძინა ქალიშვილი, რომელსაც სახელად ირინე დავარქვით. ასე რომ, ჩემს დაბადების დღეს ღმერთმა მიბოძა უძვირფასესი საჩუქარი და 19 წლის დედას მომანიჭა უდიდესი ბედნიერება...

უნდა გენახათ ვიტიას სიხარული – ადგილზე ვერ ჩერდებოდა, რომ იტყვიან, „მეშვიდე ცაზე იყო ასული ბედნიერებისგან“.

ეს ის ნუთებია, რომლებსაც სულმოუთქმელად ელოდებიან მშობლები; ეს ის მოვლენაა, რომლისთვისაც ღირს ბრძოლაც, შრომაც, ლოდინიც და, ზოგადად, სიცოცხლაც – სიცოცხლე ხომ ასევე სიცოცხლის შედეგია...

და გაათკეცებული სიძლიერით ისმოდა სიცოცხლის ხმა ფუტკარაძე-მეზვრიშვილების ბედნიერი ოჯახიდან.

მალე (1975 წ. 27 თებერვალი) ვაჟიშვილიც მოევლინა მოსიყვარულე ოჯახს; პატარა გიორგიმ ახალი სული შთაბერა სამეულს; გაიხარეს ნათესავებმა, მეგობრებმა, მეზობლებმა... გაოცებას და სიხარულს ვერ მალავდა ენატიკტიკა პატარა ირინეც...



გორის „დილა“. 1973 წ.
 მარცხნიდან წინა რიგში: თ. ჩეროევი, ნ. მღებრიშვილი, ვ. თაყაძე, ჯ. მარდიშვილი, თ. სართანია,
 ვ. ხანიშვილი, ნ. ქერდიკაშვილი, თ. ადუაშვილი, ა. ხოხოზაშვილი, მ. ტეტუნაშვილი.
 მეორე რიგში: ვიტია ფუტკარაძე, რ. ცირეკიძე, გუჯა ბერიკაშვილი, მ. კობიაშვილი, ე. ხუციშვილი,
 ო. მელაძე, თ. ბურჯანაძე, თ. მიქაშვიძე, თ. ბუზალაძე, ვ. ავერიანი, შ. ტაბაევი, ნ. ცხოვრებოვი,
 ლ. რამიშვილი, გ. გაბუნია.

ფართოდ გაიღო ოჯახის ისედაც მუდმივად ღია კარი. მილოცვებს ბოლო არ უჩანდა. რამდენიმე დღეს გაგრძელდა ვაჟიანობის აღნიშვნა.

ამ დროისთვის ვიტის უკვე დამთავრებული ჰქონდა ფეხბურთელობა და მოჰკიდებოდა უფრო მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო საქმიანობას, როგორც გახლავს მწვრთნელობა. დიახ, ვიტია ფუტკარაძემ საყვარელი გუნდის მწვრთნელობას მიჰყო ხელი და გორელების საამაყოდ უნდა ითქვას, რომ – წარმატებითაც (მაღე მას მიანდობენ ქალაქის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის თანამდებობასაც). მისი ხელმძღვანელობით გორის „დილამ“ მიაღწია მრავალ წარმატებას, რის შესახებაც მოკლედ მოგახსენებთ ქვემოთ.

იგონებს ქალბატონი თამარ მეზვრიშვილი:

„...შეიქმნა ნამდვილი ქართული ტრადიციების ერთგული ოჯახი. შვილებს ვუვლიდით და ვზრდიდით რუდუნებით, დიდი სითბოთი და სიყვარულით. მე და ვიტია ერთმანეთს ვეჯიბრებოდით სტუმართმოყვარეობაში; ჩვენი სახლის კარები არასდროს იხურებოდა... გვიხაროდა სიცოცხლე, სიკეთის კეთება, ადამიანებთან ტკბილი ურთიერთობა, მოკეთეთა მომრავლება, სხვისი გასაჭრის გაზიარება და მხარში დგომა... ლამაზად და შინაარსიანად გადიოდა წლები, გვეზრდებოდნენ შვილები, ვიყავით ბედნიერები. რომ არა ის ავბედითი 1985 წლის 25 აგვისტო...“

გორის „დილას“ მწვრთნელობამ და ფედერაციის თავმჯდომარეობამ საქმეები მოუმრავლა ვიტიას, მაგრამ თავისი მოხერხებულობით და აქტიურობით ყველაფერს ასწრებდა და აგვარებდა დროულად და ხარისხიანად.

ზემოთაც აღვნიშნეთ და ერთხელ კიდევ გავუსვამთ ხაზს ვიტიას საოცარ უნარს ადამიანებთან კეთილი ურთიერთობის დამყარებაში. ადვილად ახერხებდა (ვფიქრობთ, დიდი შინაგარი სითბოს წყალობით) დაახლოებას, ყურადღების ცენტრში მოხვედრას, გულის მოგებას, ამჟღავნებდა სხვისადმი დახმარების დაუოკებელ სურვილს, არ იშურებდა ღიმილს და ა.შ. ამიტომაც იყო, რომ ყველა ინსტანციაში და ყველა დონეზე სცემდნენ პატივს მართლაც დაუზარელ და სიკეთით სავსე კაცს.

თავისი უნიკალური, იუმორით შეზავებული კომუნიკაბელურობის წყალობით ბევრი მეგობარი ჰყავდა ერევანში (დედის სამშობლოში), ბათუმში და, განსაკუთრებით, გორში.

წინამდებარე წიგნის მომზადების პროცესში შევეხმიანეთ გასული საუკუნის 70-იანი წლების ერთ-ერთი მაღალ თანამდებობის პირს ბატონ **ირაკლი ლოლაძეს** და ვთხოვეთ ორიოდ სიტყვა ეთქვა ვიტიაზე.

„ვიქტორ ფუტკარაძე, ჩვენი „ვიტია“ გორში ჩამოსვლისთანავე გავიცანი. მას თან ჩამოჰყვა კარგი ავტორიტეტი, რომელიც სრულიად ახალგაზრდას ჰქონდა მოხვეჭილი სასომხეთში.

ერთხელ გვიან საღამოს ერევნიდან ჩამოსული ტურისტების გაფუჭებულ მანქანას მივაღდექი. ისეთი დრო იყო, რომ არც პროფილაქტიკა მუშაობდა და არც სხვა სერვისობიექტი. სანყობის გამგეს ვიცნობდი და მასთან მივედი სახლში. იგი სანყობში წამოგვყვა და ჩამოსულ სტუმრებს მანქანა გაუმართეთ. კმაყოფილმა სტუმარმა თავისი სავიზიტო ბარათი მომცა და დასძინა: ერევანში თუ მოხვდებით, გამაგებინეთო. მეც ჩემი ვინაობა და მისამართი ვუთხარი. მაშინ მე რიგითი გორელი ვიყავი, სტუმარი კი, როგორც სავიზიტო ბარათიდან შევიტყვე, სასომხეთის მთავრობის მაღალჩინოსანი იყო და ოჯახთან ერთად მოგზაურობდა საქართველოში. მოგვიანებით ვიქტორისაგან გავიგე, რომ სტუმარს მისთვის დაურეკავს და მაღლობა უთქვამს მომხდარის თაობაზე.

შემდგომში, როცა ქალაქკომში მომიხდა მუშაობა, ვიქტორი ხშირად შემომივლიდა და მეტყოდა: „ხომ არაფერში ვარ საჭიროო“, თან ამ ამბავს გაიხსენებდა და დასძენდა – შენგან დავალებული ვარ ჩემი ახლობლის მიმართ გამორჩენილი ყურადღების გამოო.

გორში ჩამოსვლიდან მოკლე დროში ვიქტორმა მოახერხა კარგი და მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა არა მარტო გუნდის წევრებთან, არამედ იმ დროის გორელებთანაც. ის იყო საოცრად გულთბილი, ხალისიანი და კომუნიკაბელური ადამიანი. იგი მალე შეიყვარა ქალაქმა და მასაც არაერთი ლამაზი გოლითა და მოგებული თამაშით გაუხარებია გორელები.

გარდა სპორტისა, ის იყო ძალიან აქტიური ახალგაზრდა და სისტემატურად მონაწილეობდა ქალაქში ჩატარებულ ღონისძიებებში. მას კარგი ხმა ჰქონდა. განსაკუთრებით კარგად მღეროდა „ოხ, სირუმ, სირუმ“-ს, რომელსაც ქართულად აგრძელებდა და ამთავრებდა „ოხ, ტურფავ, ტურფათი“.

ვიქტორი მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული. იგი კარგად ფლობდა სომხურ და რუსულ ენებს, იყო კარგი სპორტსმენი, დამრიგებელი და მენეჯერი. აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ მან განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭი გამოიჩინა კომერციულ და ბიზნეს საქმიანობაში. ის ყველას თანამდგომი და დამხმარე იყო. მის მიერ ახალგაზრდების მიმართ განეული ქველმოქმედება კეთდებოდა ყოველგვარი აფიშირების გარეშე, რაც იმ დროს საკმაოდ იშვიათი იყო.

დასანანი და სამწუხაროა ის, რომ ვიქტორი ძალიან ადრე წავიდა ცხოვრებიდან. გორში დიდი ტრაგედია მოხდა. იგი დაიღუპა მის ოჯახში ძარცვის მიზნით შესული ბოროტმოქმედის მიერ მიყენებული ტრავმით. მისი დაღუპვა ყველა გორელისათვის დიდი ტკივილი იყო და არავინ მალავდა თავის აღშფოთებას მომხდარის გამო.

ვიქტორ ფუტკარაძემ კარგი სახელი და ლამაზი ოჯახი დატოვა. ქალბატონი თამარი დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ზრდის მის მონაგარს.

მიუხედავად იმისა, რომ ვიქტორის დაღუპვიდან 30 წელი გავიდა, გორელები დღესაც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებენ და დიდ პატივს მიაგებენ მის ნათელ ხსოვნას“.

გიორგი ჩიტაია, პროფესორი (1985 წ. 29/VIII)

(გამოსამშვიდობებელი სიტყვა)

ყველასთვის საყვარელო ვიქტორ, ვიტია!

დიდი ხანია ვინმეს სიკვდილით ასე არ ყოფილა გულ-დანყვეტილი გორის მოსახლეობა – ფეხბურთის მაყურებლები და გულშემატკივრები; დიდი ხანია ამდენი დამწუხრებული და აღშფოთებული ხალხი არ მინახავს. შენი მეზობლები ხომ გულ-დათუთქულები ვართ, ქალები უწყვეტი ცრემლებით ტირიან. ეს იმიტომ, რომ ყველასთვის საყვარელი ახალგაზრდა იყავი. ყველა გულდანყვეტილია, ყველა დამწუხრებულია, ყველა აღშფოთებულია, ვინც გიცნობდა და ვისაც ველაპარაკე.

აქ, ამ მოედანაზე, გორის სტადიონზე გიხილეს პირველად საქართველოში. აქ ითამაშე პირველად. ეს იყო ჭაბუკ ფეხბურთელთა ამიერკავკასიის ზონალური პირველობა. შენ ერევნის გუნდიდან გამოდიოდი, თიანუჭუჭა, ტანსრული, თვალადი ჭაბუკი, ბავშვური თვალებით. თამაშობდი ტექნიკურ ფეხბურთს – ლათინურ ამერიკულს, თუ ქართულს, თუ კავკასიურს – თვითანაბადს. „ფუტკარაძე“ ენაზე გვეკერა. შენი სწრაფი დრიბლინგი და ჭკვიანური პასები, ზუსტი დარტყმა და ენერგიული სპორტული სიარული – მომნიბლავი იყო. ყველაფრით მაგონებდი ჩვენს ლეგენდარულ ბორის პაიჭაძეს. ყველაფერი ეს ბოლომდე შეგრჩა! ერევნის „არარატშიც“, მერე ბათუმის „დინამოშიც“, მერე გორის „დილაშიც“. სწრაფ რბოლასთან ერთად სწრაფი აზროვნებაც გქონდა და ეს ნიშნავს, რომ თამაში გესმოდა უმაღლეს დონეზე. ეს კარგად

გამოგადგა მწვრთნელად ყოფნისას. როგორც მოთამაშე და მწვრთნელი, გორის „დილასთან“ განსაკუთრებით არის დაკავშირებული შენი ღვანლი, ვიტია! – მისი ფეხზე დადგომის საქმეში. მახსოვს, როგორი სიხარულით მეუბნებოდი „დავაყენე გუნდიო“ – ამის შესახებ მაშინ მე სპეციალისტებს მივწერე თბილისში, ნასიამოვნები იყავი. ფანატიკურად გიყვარდა ფეხბურთი და გორის „დილა“.

გორის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრე, დაუსწრებელი განყოფილება. იმ წლებში ფეხბურთის მოყვარულთა კლუბის ხაზით ვალდებული ვიყავი ცხოვრებაშიც გვერდზე ამოვდგომოდი ფეხბურთელებს. როცა ინსტიტუტში გნახე, გაკვირვებით გკითხე – „აქ რა გსურს-მეთქი“. მიპასუხე – „მეხუთე კურსზე ვსწავლობო“. უფრო გამიკვირდა და გამიხარდა. თვითონ აღწევდი ყველაფერს.

მერე რა ტკბილი ლაპარაკი გიყვარდა, ბავშვური ტიტინით და წრფელი, ტემპერამენტიანი. მიზანსწრაფული იყავი თამაშშიც, ლაპარაკშიც, მოქმედებაშიც. მიზანსწრაფული და საქმიანი, შნოიანი და ლაზათიანი. ალბათ, ამიტომ უყვარდი ყველას – ვისაც შენი თამაში ენახა, ვინც გიცნობდა, ვინც შენთან ურთიერთობაში იყო. ამიტომ არის, რომ ახლა, როცა ასე ახალგაზრდა მიდიხარ – ჩვენი გულის ნაწილად მიდიხარ, ბიჭო!

ჩემო ვიტია! გორის მოსახლეობის სახელით, გორის, ბათუმის, ერევნის ფეხბურთის მოყვარულთა სახელით გეთხოვები. არა, არ გემშვიდობები, რადგან შენი ღრმა ხსოვნა და ფართო სიყვარული დიდხანს იქნება ჩვენში.

გორის ბამგებულის ქსოვილების კომბინატის ყოფილი გენერალური დირექტორი **მერაბ ნიჟარაძე**.

საღიგობრობა

(ვაჟიანი განდევნილი გორელ მეგობრებს)

რატომღაც სივსა მადედა ამ ერთ სსკოლაში,
განა ეს ცხელი იღვა ჭრავს გაშლილ ვილიეს?
ვინ დაუბღარბი, რა ეჩინა ენლა მტყუნალი,
ვინ მოგვიწყობს ხსოვნებს გაშლილ მწერა იანაბ.

წლები გუნგინ, დავათოვა ყვეუ ჩრჭრევი
წილლით დაფურცელ გლვაში ცყრავს ჩვენი სტაქლი,
ბიბიო სსხოლით მოგონება ვმეფაა იმ ჩრჭრევი,
ვინდანაზ ერთად გმთვრების გმს მოქია ვვიმსვილით.

ვაჟურ ვაჟების მატარებელ მეს გავიბსაწმვ
ვინეს ცხმვრება ვაჟაბუხად ილა ვალოია,
სივსლილს ეჭრბოვა ვაჟა მოდგონს ვადაბრჩენად,
და დაუბღარბს მატარებელ ცხელი დელია.

მაშ გავიბსაწმვ ჩვენი ყრბოვს ხსოვლს დამოღან,
ბიბიოვი, ომარ, ილიო, ვივი, ნოღარ, ვიბია...
მოგობებაწმვ, სულ გრჩელოვსი, მამი სულეტი
ვიბი სსხელის ამ სტრეოვწმვ ვარ დიბია.

აქავეტყელ გლვას დამგავაზა ჩვენი გმთვრება,
აქავეტყელი ცხარტყელი ყველი ვინატიო,
ჟუბი ჩიბლიის, გაგვინება ილა ვინატი,
მაშ ხვლიავ ვივსვღვინი ტყჩევატყენი და მოვინატიო.

ჭეი, მამადავ, წამოსდატი ვაჟურად ერთი,
ჩვეინა სიბღარბა „მთვრის დუბელ“ ვინი ატნიოს,
მაშ გაჟმარბოს, აღლაგრბლოს, ხალოვწმვ ლეგნობი,
ამ გატნიუსოვი მთხროვება ვინაზ ვსტნიოს!

მ. ნიჟარაძე

იანვარი 2009.



ვიტია, როგორც მწვრთნელი, იყო საოცრად მოწესრიგებული, მკაცრი და სამართლიანი. ნუთების სიზუსტით გეგმავდა და ახორციელებდა ყველაფერს. განსაკუთრებული პუნქტუალურობით გამოირჩეოდა ფეხბურთელების მიერ სპორტული რეჟიმის დაცვის საკითხებთან მიმართებაში. არცერთ სპორტსმენს (ფეხბურთელს) არ აპატიებდა ყოველდღიური განრიგის დარღვევას. გაათქვამებული კონტროლი ჰქონდა დანესებული ყველა ფეხბურთელზე სხვადასხვა ქალაქებში ვიზიტების დროს. ასეთ შემთხვევებში მისი უმთავრესი დევიზი იყო – ყველაფერი თავის დროზე და ყველაფერი თავის ადგილზე: ძილი, საუზმე, დასვენება, ვარჯიში, ქალაქის ღირსშესანიშნაობების გაცნობა, სადილი, ვახშამი, თეორიული სწავლებები, კონკრეტული მოწინააღმდეგის პოტენციური შესაძლებლობების განხილვა, ძილისწინა გასეირნება და ა.შ. ვერავინ ბედავდა დადგენილი რეჟიმის დარღვევას.

ყოფილი ფეხბურთელი ნოდარ ქერდიკაშვილი იხსენებს:

„...რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში ვიყავით საკავშირო ტურნირის მორიგი მატჩის ჩასატარებლად. ჩვენი მეტოქე (მასპინძელი) საკმაოდ ძლიერი გუნდი იყო და მთელი ძალისხმევა იყო საჭირო, რომ თავი არ შეგვერცხვინა.

ვიქტორ ფუტკარაძემ (ვიტიამ) ყველაფერი დააწყო და დაგეგმა. ვერ ჩერდებოდა ერთ ადგილზე. კარგად იცოდა, ხვალინდელი დღე მძიმე იქნებოდა როგორც მთლიანად გუნდისთვის, ისე პირადად მისთვის. ნერვიულობდა; უკვე მერამდენედ აკვირდებოდა და ამონმებდა ყოველ წვრილმანს.

ვახშამზე შეამჩნია, რომ ორი ფეხბურთელი არსად ჩანდა. მოიკითხა, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა, ან იცოდნენ და არ ამჟღავნებდნენ.

ვიტიამ სასტუმროსა და გუნდის ადმინისტრატორები „სმენაზე“ დააყენა და კატეგორიულად მოსთხოვა ნახევარ საათში მოეძებნა ბიჭები.

უკვე ძილის დრო იყო, ბიჭები არ ჩანდნენ. ხვალინდელ თამაშში იმ ორი ფეხბურთელის დიდი იმედი ჰქონდა.

ველარ გაუძლო დაძაბულობას და ქუჩაში გავარდნილი უმისამართოდ გაუყვა ქუჩას. მალე საიდანღაც საცეკვაო მუსიკის ჰანგები შემოესმა. გულმა რაღაც უკარნახა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა იქითკენ, საიდანაც ნიავს მოჰქონდა მუსიკის ხმები. თანდათან მიუახლოვდა დასვენების პარკში მდებარე საცეკვაო მოედანს და ადგილზე გაშეშდა – „მისი“ ორი ფეხბურთელი ორ გოგონასთან ერთად თავდავინყებით ცეკვავდნენ; შიგადაშიგ ქართულ საცეკვაო ელემენტებსაც იყენებდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ.

იცოდა გამოცდილმა მწვრთნელმა თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა ამ, ერთი შეხედვით, უწყინარ ცეკვას. ვერავინ გაიგო, თუ რა ჩასჩურჩულა ყურში ვიტიამ მოცეკვავე გოგონებს, რომლებიც კისერზე ჩამოეკიდნენ მწვრთნელს, აკოცეს და

კისკის-კუნტრუშით გაიქცნენ სახლში ისე, რომ მოცეკვავე პარტნიორებისთვის არაფერი უთქვამთ.

დამნაშავე ბავშვებივით მისდევდნენ ფეხბურთელები სასტუმროსკენ სწრაფი ნაბიჯებით მიმავალ მწვრთნელს. ნომერში შედგა „წინასამატჩო“ საუბარი. მერე ძილი ნებისა უსურვა და კარებში გასვლისას თბილად უთხრა – ბიჭებო, ხვალ თქვენი იმედი მაქვს.

გორელებმა მატჩი მოიგეს. განსაკუთრებით გამორჩეულად მიიჩნიეს „რეჟიმისდამრღვევ“ ორი ფეხბურთელის თამაში.

სასტუმროში დაბრუნების შემდეგ, ვიტყამ ის ორი ფეხბურთელი თავისთან მიიხმო, კარგი თამაშისთვის შეაქო და მისცა ორმოცდაათმანეთიანი – ეს თქვენ პრემიის სახით. თან მიაყოლა – ვახშმიდან განთავისუფლებთ, გარეთ გადით, სასტუმროს წინ „გუშინდელი გოგოები“ გელოდებიანო.“


ნოდარ ქერდიკაშვილი საუბრის ბოლოს აზუსტებს, რომ აღწერილი ამბავი მოხდა ქალაქ კურსკში 1974 წლის საფეხბურთო სეზონზე.




ვიტიას ძალიან ჰყვარებია თავისი ბებია, ქალბატონი ანა ახვერდოვა. ვიტყავს მეუღლის, ქალბატონ თამარ მეზვრიშვილის გადმოცემით ვიცით, რომ ვიტია ხშირად ამბობდა თურმე – „...რაც ჩემში კარგი რამ არის, ყვე-

ფუტკარაქების საგვარეულო სე

189...-2015 წ.წ.





დამატებითი განმარტებები „საგვარეულო ხესთან“ დაკავშირებით

– ვიტყვას ბებია ანა ახვერდოვა მოულოდნელად გარდაიცვალა 66 წლის ასაკში, გულის მწვავე შეტევით.

– ვიტყვას დედა როზა ბიშარიანი გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობით 1987 წელს.

– ვიქტორ (ვიტია) ფუტკარაძის მამა გიორგი (გოგი) გარდაიცვალა 1992 წელს.

– ვიტყვას ძმა მიხეილი (მიშკა) დაკრძალულია ქ. ერევანში.

– ბაგრატ გოცირიძე (ოლია ფუტკარაძის მეუღლე) გახლდათ წარმატებული პარტიულ-სამეურნეო და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ომის ვეტერანი. გარდაიცვალა 2003 წელს.

– ოლია ფუტკარაძე გახლდათ დამსახურებული ექიმი-თერაპევტი. გარდაიცვალა 1981 წელს.

ოლია ფუტკარაძის და, ნადია ამყამად ცხოვრობს ხარაგაულში.

– ოლია ფუტკარაძის და ბაგრატ გოცირიძის შვილი როლანდი გარდაიცვალა 1988 წელს.

– ვიქტორ ფუტკარაძის სიდედრი, ქალბატონი მერი ჭილაძე გახლდათ ექიმი-სტომატოლოგი, შრომის ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 2013 წელს. ქალბატონი თამარი ხაზგასმით აღნიშნავს სიძე-სიდედრის განსაკუთრებულ ურთიერთპატივისცემას და დიდ სიყვარულს.

– ვიქტორ ფუტკარაძის სიმამრი, ბატონი მიხეილ მეზვრიშვილი გახლდათ ისტორიკოსი, ქორეოგრაფი, საუკეთესოდ ფლობდა რამდენიმე მუსიკალურ ინსტრუმენტს. გარდაიცვალა 2005 წელს.

– ვიტყვას ფუტკარაძის მოყვარე გაია (გიორგი) მეზვრიშვილი ფანატიკურად იყო შეყვარებული სიძეზე (ვიტიაზე). გარდაიცვალა 2001 წელს.

– თამარ მეზვრიშვილის და, ქალბატონი თინათინი არის გორის სამუსიკო სკოლის პედაგოგი (ფორტეპიანო). მზრუნველი დეიდა დის-შვილებისა და შვილიშვილების აღზრდა-განათლებლას უთმობს სიცოცხლის დიდ ნაწილს.

– ოლია ფუტკარაძის შვილები:

ნანული – ცნობილი ექიმი-თერაპევტი.

დალი – გორის სამუსიკო სკოლის პედაგოგი (ფორტეპიანო).

– ვიტყვას მეუღლე ქალბატონი თამარ მეზვრიშვილი გახლავთ ორი შვილის დედა, შვიდი შვილიშვილის ბებია და ორი შვილთაშვილის დიდი ბებია. ცხოვრობს ქ. გორში. მუშაობს გორის კულტურის ცენტრში ინგლისური ენის სპეციალისტ-პედაგოგად.

ლაფერი ჩემი ბებუის დამსახურებაა...“.

ანდა, როგორ შეიძლება პატივს არ სცემდე და არ გიყვარდეს ისეთი ქალბატონი, როგორიც ანა ახვერდოვა ყოფილა – განათლებული, შრომისმოყვარე, კარგი მეოჯახე და ახლობელ-ნათესავების მოყვარული.

ანა ახვერდოვამ ვაჟკაცური შემართებით გაუძლო უდიდეს ტრაგედიას, რასაც მეუღლის დახვრეტა ჰქვია, გაუძლო შორეულ გადასახლებაში გაუსაძლის პირობებში ყოფნას, შეურაცხყოფას და არაერთ დამცირებას. გადაიტანა ბინის წართმევის ამბავი და თვალეებში ჩახედა გაუკუღმართებულ პირად ცხოვრებას და სიცოცხლის დარჩენილი ნაწილი სრულიად მიუძღვნა შვილს, რძალს და შვილიშვილებს, გადავიდა რა საცხოვრებლად ქ. ერევანში. ეს მოხდა მაშინ, როცა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ათწლეულში დაიწყო რეპრესირებულთა თანდათანობითი რეაბილიტაცია და კუთვნილ უფლებებში აღდგენა.

ხელისუფლებამ მას მისცა ერევანში ერთოთახიანი ბინა და ასევე სამსახური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ჩვეული პროფესიით – მდივან-მემანქანე.

გადატანილი წლების სიმძიმემ, უსამართლობის მუდმივმა განცდამ, აწენილმა და გაუკუღმართებულმა პირადმა ცხოვრებამ, ბუნებრივია, თავისი ნეგატიური გავლენა იქონია ანას ჯანმრთელობაზე და იგი, სრულიად მოულოდნელად, გულის შეტევით გარდაიცვალა 66 წლის ასაკში.

ამონარიდები სხვადასხვა ბეჭდური მასალიდან



„...ვიქტორ ფუტკარაძე მოუკლავთ!

მეხივით გავარდა ქალაქში საშინელი ამბავი. ყველასთვის საყვარელი, ჯანლონით სავსე ახალგაზრდა კაცი სიცოცხლეს გამოასალმა გარენარმა; სხვა ვის მოუტრიალდებოდა ხელი, სხვა ვინ გაბედავდა გამორჩეული ვაჟკაცის, სანიმუშო ოჯახის პატრონის, ღირსეული მოქალაქის, აღიარებული სპორტსმენის სიცოცხლის ხელყოფას?!.“

**გაზეთი „გამარჯვება“,
№57 (8348), მაისი, 1986 წ.**



„...მესამე საპრიზო ადგილზე გასული „დილას“ უფროსმა მწვრთნელმა ვიქტორ ფუტკარაძემ შეაჯამა 1974 წლის საფეხბურთო სეზონის შედეგები და ქ. გროზნოში შესარჩევი თამაშებისათვის მზადების პერიპეტიები გააცნო დამსწრე საზოგადოებას; საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა დ. კვინიკაძემ გუნდის უფროს მწვრთნელს ვ. ფუტკარაძეს გადასცა საპატიო სიგელი...“

**გაზეთი „გამარჯვება“,
№133 (6562), ნოემბერი, 1974 წ.**



კორესპონდენტის შეკითხვა – რა სიახლეებია გუნდის შემადგენლობაში?

ვიქტორ ფუტკარაძის (უფროსი მწვრთნელის) პასუხი:

„...ამჟამად „დილა“ განიცდის თაობათა ცვლის არც თუ სასიამოვნო პროცესს, რაც ერთობ ართულებს მდგომარეობას, მაგრამ გუნდის მეგობრული კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს, რათა დაძლიოს ეს პრობლემაც. გუნდი ხომ მართლაც ახალგაზრდაა, საშუალო ასაკი სულ 19 წელია...“

გაზეთი „გამარჯვება“,

№38 (7554), მარტი, 1981 წ.



„...ჩვენს გულებში არასოდეს ნაიშლება მისი ვაჟ-კაცური შემართება, მომღიმარე სახე და თბილი სალამი.

გორისა და გორის რაიონის საზოგადოება ყურადღებას არ მოაკლებს დაობლებულ ოჯახს, მაგრამ იმდენ სიტბოს მაინც ვერავინ მიაგებს, რამდენსაც თვითონ ვიტია...

ახალგაზრდა ნავიდა იგი ჩვენგან, სულ რაღაც 41 წლის. გამოგვაკლდა მაშინ, როდესაც უნდა გაეხარა თავის ცოლ-შვილში და მეგობრებში...“

**გორის რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაცია,
ფეხბურთელთა გუნდის „ქართლის“ ფეხბურთელები**

1986 წ. თებერვალი



„...დაბადებულ სიკეთისთვის, სიყვარულისთვის, ამ ქვეყანაზე ძმადნაფიცი დაგრჩა ურიცხვი, ვისთვისაც იყავ სიამაყე, უტყვი ნუგეში, ვინც გაგისხენებს დაგროვილი ცრემლით გუგებში. საფიცარ მამულს აყვარებდი ყველა ერის შვილს, რა სიტყვა გითხრათ ამ სიკეთის შესაფერისი... თუმცა, სიკვდილმა უღმობელი ხელი აღმართა, ჩვენ შენი გულის ჩირაღდანი ველარ

წაგვართვა...“

„...გულალალი, გულგახსნილი, გულწრფელი, გულთბილი, გულლია, გულშემატკივარი, გულმიმნდობი და ა.შ.

ეს ეპითეტები მართლაც რომ ესადაგება ვიქტორ (ვიტია) ფუტკარაძის პიროვნებას... დიახ, ესადაგება, თუმცა სრულად მაინც ვერ წარმოაჩენს მის კაიკაცობას...“

„...დიდხანს უნდა ევლო ვიტას ამ მზის ქვეშ, უნდა ევლო და მისთვის ჩვეული გულლია სიცილით სიკეთე უნდა ეთესა, მაგრამ არ დააცალეს...“

„...ბოლო თვეებში გაათკეცებული ენერგიითა და მონდომებით ცდილობდა ახლოს ყოფილიყო მეგობრებთან,

მათთან გაეტარებინა დიდი დრო; სიკეთის თესვას ეშურებოდა – სხვანაირად არ შეეძლო. მადლიანი ხასიათი და გული ჰქონდა; ლალად აკეთებდა ყველაფერს, მკაფიოდ გამოიჩინებდა ათასობით ადამიანში...”

„...კარგად იცოდა მეგობრობის ფასი, ამიტომ ყველა ცდილობდა მასთან ჰქონოდა კარგი ურთიერთობა და სიახლოვე. ნებისმიერი ადამიანის გაჭირვება მიჰქონდა გულთან, განიცდიდა და ცდილობდა მხარში ამოდგომას...”

**გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის
კლუბში ხსოვნის საღამოზე წაკითხული მასალებიდან.
1986 წ.**

„გმ“ ოცი წლის წინათ

ვიქტორ ფუტკარაძეს კარგად იცნობდნენ გორელები, იგი ხომ გორული ფეხბურთის სიამაყე გახლდათ...

ეს მოხდა 1975 წელს. მაშინაც თებერვლის ქარი უბერავდა გორში. 27 თებერვალს კი ვიქტორ ფუტკარაძეს ვაჟიშვილი – გიორგი შეეძინა.

შვილის დაბადება ვის არ გაუხარდება და ვიქტორმაც მეგობრები დაპატიჟა, შვილი დაალოცვინა.

თამალობდა თენგიზ (ტროყო) ინაური; პირველი სა-
დღეგრძელოთი ქვეყანაზე ახლადმოვლენილი ფუტ-
კარაძე ადღეგრძელა.

– გიორგის დაოჯახებისას მე, შეიძლება, ღრმა მოხუ-
ცი ვიყო, ველარ მოვახერხო საჩუქრის ყიდვა. ამიტომ,
ჩემო ვიტია, საჩუქარი ახლავე უნდა გადმოგცე... – გა-
ნაცხადა თამადამ, ჯიბიდან ოქროს ბეჭედი ამოიღო და
ვაჟიშვილის მამას გადასცა.

ახლაც თებერვალია, ოღონდ 1995 წლის 25 რიცხვი.
დღეს გიორგი ფუტკარაძისა და მანანა დვალიშვილის
ქორწილია.

აღრაც ვიტიაა ცოცხალი და აღარც თენგიზი (ტროყო)
შემორჩა ამ წუთისოფელს.

მამის მეგობრის საჩუქარი დედამ, თამარ მეზვრი-
შვილმა გადასცა ახლადშეუღლებულებს.

ვიქტორ ფუტკარაძის მეგობრები, „გორის მოამბის“
რედაქცია ბედნიერებას ულოცავენ ახლადშეუღლე-
ბულებს, უსურვებენ სიხარულს, გახარებას ჩვენი ერის
საკეთილდღეოდ.

**„გორის მოამბე“,
1995 წ. 25 თებერვალი**

იუმორნარევი მოგონება

იყო დრო, როდესაც სხვადასხვა შეკრებებზე სიტყვით გამოსვლის დროს ორატორებს სთხოვდნენ წინასწარ წარედგინათ დაწერილი ტექსტი, რომელსაც გულდასმით გადახედავდნენ ხოლმე მავანნი, რათა არაფერი „ტექნიკური ლაფსუსი“ ან იდეოლოგიური გადახრა არ გაპარულიყო.

სურათზე აღბეჭდილია მართლაც ისტორიული მომენტი. ქ. გროზნოში, საკავშირო პირველობის მნიშვნელოვან ეტაპზე (1974 წ.) გორის „დილამ“ მიაღწია დამსახურებულ წარმატებას. გორში დაბრუნების შემდეგ საზოგადოებამ ხალხმრავალი საზეიმო შეხვედრა მოუწყო ფეხბურთელთა კოლექტივს და მის ხელმძღვანელებს.




ვიქტორ (ვიტია) ფუტკარაძე (გუნდის უფროსი მწვრთნელის რანგში) მიემართება ტრიბუნისკენ, რათა წინასწარ მომზადებული და მავანთა მიერ გადასინჯული ტექსტით მიმართოს დამსწრე საზოგადოებას.

მაშინ, ბევრმა პირველად გაიგო, რომ ვიტias უჭირდა ქართულად წერა (აბა სასომხეთში ვინ ასწავლიდა?), ლაპარაკი კი სწრაფად ისწავლა (თითქმის უშეცდომოდ).

ვიტias გამოსავალი იოლად მოუნახავს და თორმეტ-ფურცლიანი რვეული დაუნერია ქართული წინადადებებით, ოღონდ რუსული ასოებით.

გთავაზობთ ფრაგმენტს ამ ტექსტიდან.



„...ძვირფასო მეგობრებო!

უპირველეს ყოვლისა, ნება მომეცით, გორის „დილას“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდისა და მისი თითოეული წევრის სახელით დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმ გულთბილი შეხვედრისათვის, რომელიც მოუწყვეთ „დილას“ ფეხბურთელთა კოლექტივს...“

დამშვიდობება

1985 წ. 29 აგვისტო

არავის გაჰკვირვებია იმ დღეს უჩვეულო ხალხმრავლობა, როგორც სტადიონის ტრიბუნებზე, ისე მიმდებარე ტერიტორიაზე.

ყველამ იცოდა, რომ იმ დღეს საფეხბურთო მატჩი არ ტარდებოდა;

ყველამ იცოდა, რომ იმ დღეს გორის მოსახლეობა და უამრავი ჩამოსული სტუმარი ბოლო გზაზე აცილებდა ვიქტორ (ვიტია) ფუტკარაძეს, კაცს, რომელმაც სულ რაღაც 18 წელიწადში დაიმსახურა საყოველთაო აღიარება, სიყვარული და პატივისცემა თავისი ნიჭიერებით, ენერგიულობით, სხვისი ჭირის გაზიარებისა და გაჭირვებულის მხარში ამოდგომის დიდი სურვილით და უნარით, სინმინდეების პატივისცემითა და სიკეთის კეთებით. ვიტია უყვარდა ყველას – ახლობელსაც, უცნობსაც, დიდსაც, პატარასაც, კოლეგასაც, სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლებსაც და მედიის თანამშრომლებსაც, ხელოვნების მუშაკებსაც და საკოლმეურნეო ბაზრების გამყიდველებსაც...

ვიტია უყვარდათ არაორდინალური, განსაკუთრებული იუმორის გამოც.

ვაი, რომ ველარც თავად იხუმრებს და ველარც ვინმეს გააცინებს...

ცხოველური ინსტიქტებით გაცოფებულმა გარენრებ-

მა (ამ წიგში მათი სახელისა და გვარის ხსენება მკრეხელობად ჩაითვლება. დაე მხოლოდ სასამართლო განაჩენის ტექსტს შემორჩეს იგი), რალაც ძვირფასი ნივთებისა და ფულის გულისთვის სიცოცხლე მოუსწრაფეს ცხოვრებაზე, ოჯახზე და თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებულ ვაჟკაცს.

ფეხბურთის მოდნის შუაგულში ესვენა მისი სხეული. გამოსამშვიდობებლად რიგში მდგომი ადამიანები ცრემლებს ვერ იკავებდნენ. გორელების გარდა, აქ იყვნენ ერევნელები, თბილისელები, ბათუმელები და საქართველოს სხვადასხვა რაიონის წარმომადგენლები.

ბევრი ყვავილი მოეფინა მწვანე მოედანს, იმ მოედანს, რომელზედაც არწივივით დანავარდობდა ვიტია და თავისი ფილიგრანული ტექნიკით და ულამაზესი გოლებით ალტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი.

ბევრი ცრემლი დაიღვარა, ბევრი გულშიჩამწვდომი სიტყვა ითქვა...

არ ეთმობოდათ ვიტია სამუდამო განშორებისთვის. გულთბილი სიტყვებით მიმართეს საზოგადოებას და დაემშვიდობნენ ვიტიას: პროფესორი გიორგი ჩიტაია, მოსკოვის „სპარტაკის“ მოთამაშე, ვიტიას ერევნელი მეგობარი არკადი ანდრეასიანი, გორის სპორტკომიტეტის სახელით ნოდარ დვალი და სხვა.

მანამდე კი ოჯახში იდგა უმძიმესი ტრაურის დღეები. არ წყდებოდა სამძიმარზე მისული ადამიანების რიგი. ყველას სურდა ენუგეშებინა ქალბატონი თამარი; ყვე-

ლას უნდოდა მოჰფერებოდა უმამოდ დარჩენილ ირინეს და გიორგის.

ძნელი და მწარეტკივილიანი დღეები იდგა ფუტკარა-ძეების ოჯახში, დამძიმებული და დანალვლიანებული შეგრძნებით დააბიჯებდნენ ახლობლები, ნათესავები, მეგობრები, მეზობლები...

როგორც ქალბატონი თამარი ამბობს: „...იმ დღიდან დაიწყო ჩემი ცხოვრების უმძიმესი და ურთულესი ეტაპი. ვარდისფერი და ცისფერი შეიცვალა შავი ფერით...“

სტადიონზე კი არ ილეოდა სიტყვით გამომსვლელთა რიგი. უამრავ ადამიანს უნდოდა ხმამაღლა ეთქვა თავისი გამოსამშვიდობებელი სიტყვები, მაგრამ ყველაფერს თავისი წესი აქვს...

ბოლოს, ადამიანების უდიდესი ტალღა შეტორტმანდა, მონწესრიგდა და დაიძრა ვიტიას უკანასკნელი ნავთსაყუდელისაკენ, სამუდამო განსასვენებელისაკენ.

მთელი გზა მოფენილი იყო ცრემლიანი ყვავილებით.

ვიტიას ხსოვნა რომ არ მიეცემა დავინწყებას, ეს უკვე კარგად გამოჩნდა 2015 წლის 25 აგვისტოს, როდესაც გორის საზოგადოებამ, ოჯახმა და ნაცნობ-მეგობართა წრემ აღნიშნეს იმქვეყნად წასვლის 30 წლისთავი.

ესტაფეტა კი გადავიდა ვიტიას შთამომავლებზე, ესტაფეტა იმისა, რომ ვიტიას ხსოვნა არასოდეს დაიბინდება.

ადამიანები იმედით ვცოცხლობთ.



ერთად ყოფნის ბოლო წუთები.



ზემოთ არაერთხელ გავუსვით ხაზი ვიტიას თანდაყოლილ უარღესად ღირებულ პირად თვისებებს, როგორცაა: მისი კეთილი ხასიათი, ნიჭიერება, საოცარი უნარი და დიდი სურვილი ადამიანების ურთიერთდაკავშირებისა, თავმდაბლობა, კომუნიკაბელურობა, ჯანსაღი იუმორი და ა.შ.

უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებასაც, რომ ვიტია დაუღალავად ცდილობდა ქართველებისა და სომხების დაახლოებას, დამეგობრებას, რასაც ხშირად წარმატებით ართმევდა თავს.

არაერთხელ უთქვამს: „...საქართველო დედაა ჩემი, სომხეთი კი ბიძაო...“ ხატოვნად რომ ვთქვათ, იგი იდგა „გზად და ხიდად“ საქართველოსა და სასომხეთს შორის.

ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით მოვიყვანთ ამონარიდებს ვიტიას მეგობრებისა და ახლობელი ადამიანების კიდევ რამდენიმე მოგონებიდან:

ზურაბ ნამიჩიშვილი:

„...ვიქტორ ფუტკარაძესთან მქონდა საკმაოდ ნორმალური და თბილი დამოკიდებულება. საქმიანი ურთიერთობები კი უფრო აქტიური გახდა მას შემდეგ, რაც ამირჩიეს აღმასკომის თავმჯდომარედ.

1984 წლის შემოდგომაზე ვიტამ თავის თავზე აიღო შუამდგომლობა და გორის დელეგაცია (მე, ვახტანგ ყანჩაველი, მერაბ ნიჟარაძე, ზურაბ კაჭკაჭიშვილი) საქმიანი ვიზიტით გავემგზავრეთ ქ. ერევანში, კერძოდ, გვინდოდა ქალაქ გორის კეთილმონყობისათვის შეგვეჩინა და შეგვეძინა მცირე არქიტექტურული ფორმები, რითაც განთქმული იყო ერევნის სხვადასხვა წარმოება და მოგვეგვარებინა ზოგიერთი სამეურნეო-ტექნიკური საკითხები, რომლებიც საჭირო იყო გორის ბამბეულის ქსოვილების საწარმოო გაერთიანებისათვის.

ვიტამ ერევნის ცენტრალურ სასტუმროში დაგვახვედრა დაჯავშნული კომფორტული ნომრები. მაგიდეზე ეწყო სხვადასხვა ხილით სავსე ვაზები და, რამაც უფრო გაგვაოცა – ქართულენოვანი ახალი გაზეთები და ჟურნალები.

ვიტამ შეგვახვედრა სასომხეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან, რომელმაც მოგვამაგრა წარმომადგენელი ყველა ჩვენთვის საინტერესო საკითხის მოსაგვარებლად. მართლაც, შეგვახვედრეს სხვადასხვა წარმოების ხელმძღვანელებთან და დაგვათვალისწინებინეს ჩვენთვის საჭირო წარმოება-დანესებულებები და სწრაფად გადაწყდა ყველაფერი.

იმავე საღამოს სასტუმროს საბანკეტო დარბაზში ვიტამ შეხვედრა მოგვიწყო როგორც სასომხეთის თვალსაჩინო და პატივსაცემ პიროვნებებთან, ისე ამერიკიდან და საქართველოდან გადმოსახლებულ ემიგრანტებთან. საღ-

ამომ ჩაიარა მეტად თბილ და მეგობრულ ატმოსფეროში.

ვიტიას დიდი მონდომების ნყალობით, ჩვენი ვიზიტი აღმოჩნდა ფრიად ნაყოფიერი (ჩამოვიტანეთ ტროტუარის დეკორატიული ფილები და მოვაპირკეთეთ როგორც ბამბეულის კომბინატის კულტურის სახლის შიდა ეზო, ასევე კინოთეატრი „გამარჯვების“ მიმდებარე ტერიტორია. განათების სპეციალური ლამპიონები დავამონტაჟეთ ი. სტალინის სახლ-მუზეუმის სკვერში და სხვა).

ვიტიამ ლამაზი კვალი დატოვა ქ. გორში. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის გორის მინა...“

ზურაბ კაჭკაჭიშვილი:

„...საღამოობით, ვიტიას სახლში მეგობრები ხშირად ვთამაშობდით ნარდს, ჭადრაკს და მერე ქალბატონი თამარი გვიმასპინძლდებოდა ხოლმე გემრიელი ვახშამით.

ერთ საღამოს გვიანობამდე ჩვენთან ერთად იყო ვიტიას ვაჟი გიორგი.

შევნიშნე, რომ მას ახალი შარვალი ეცვა და ხშირად იყურებოდა ზედ, თითქოს მიგვანიშნებდა, რომ შემომხედეთ, მომიწონეთო. მე ვაჩუქე 25 მანეთიანი და მივაყოლე – „მზით გაცვითე“-მეთქი. ვიტია გამიბრაზდა – ბავშვს ფულს რატომ აძლევო.

გიორგი მალე თვალს მიეფარა, ვიფიქრე – ალბათ დასაძინებლად წავიდა-მეთქი.

ათიოდე ნუთში კვლავ მოგვევლინა ახალ კოსტუმში გამონყოფილი, თვალეზი ბავშვური ეშმაკობით უციმციმებდა.

ვიქტორის წინააღმდეგობის მიუხედავად გიორგი კვლავ დავასაჩუქრეთ და მერე ბევრი ვიცინეთ მის მოხერხებულობაზე და ეშმაკობაზე.

მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი გარემოება.

ჩვენ საძმოს ხშირად გვინევდა ქალაქის სტუმრების დახვედრა-გამასპინძლება. კარგ ამინდში რესტორან „ინტურისტის“ ეზოში ქეიფს არაფერი ჯობდა. ვიტია ხშირად სარგებლობდა დამკვრელების მომსახურებით. თავადაც კარგად მღეროდა და ხშირად სომხურ მელოდიებსაც უკვეთავდა. დამკვრელებს ძალიან უყვარდათ ვიტია.

ნიშანდობლივია, რომ ვიტიას დაღუპვის შემდეგ, „ინტურისტის“ დამკვრელებს, კარგა ხნის განმავლობაში, დაკვეთები არ მიუღიათ და არც დაუკრავთ და არც უმღერიათ. მხოლოდ იშვიათად ააჟღერებდნენ ხოლმე ვიტიას საყვარელ მელოდიას – „ოჰ, სირუმ, სირუმ...“

ვიტიას ყველა კუთხეში დიდ პატივს სცემდნენ. მე მონმე ვარ ბევრი შემთხვევის, როდესაც ვიტიას ხათრით უხვად გვიმასპინძლებოდნენ სხვადასხვა ქალაქში და ყურადღებას არ გვაკლებდნენ. სასომხეთში ხომ უზარმაზარი ავტორიტეტი ჰქონდა, როგორც ჩინოსნების, ისე რიგითი ადამიანების საზოგადოებაში.

სასომხეთში ჰყავდა ძალიან კარგი სამეგობრო წრე.

გორიდან ჩასულებს ოჯახებით გვმასპინძლობდნენ, როგორც რესტორნებში, ისე შინაურ პირობებში. ყველა მის სომეხ მეგობარს ვერ გავიხსენებ, თუმცა, ბევრმა მათგანმა უდიდესი სითბო და ყურადღება გამოიჩინა ვიტისას გორელი მეგობრებისადმი. როცა ჩავდიოდით, სულ ჩვენთან იყვნენ, აღარ იცოდნენ რითი და როგორ ესამოვნებინათ.

მოვიხსენიებ: რობერტ სარქისიანს, ვოვა ასლანიანს, სეირან ვართანიანს, კორუნ ბაგდასარიანს, ჟოკო ნალბანდიანს. სამწუხაროდ, რამდენიმე მათგანი აღარ არის ამქვეყნად.

ყოველთვის ჯგუფურად გვაცილებდნენ ხოლმე საქართველოს საზღვრამდე. დასანანიია, რომ ვიტისას დალუპვის შემდეგ, მეგობრული ურთიერთობები მნიშვნელოვნად განელდა.

რობიზონ ნინოშვილი:

„...ვიქტორ (ვიტია) ფუტკარაძე, ჩემთვის (და არამარტო ჩემთვის) იყო, არის და მუდამ იქნება განსაკუთრებული პიროვნება, მეგობრობის ეტალონი.

სასომხეთში დაბადებული და სომეხი ქალბატონის ძუძუს ნაზიარები ვიტია, იმავდროულად იყო ქართული სულის მატარებელი, ვაჟკაცური შემართებითა და ხელგამლილობით ქართველი, რომელიც უზომოდ იყო

შეყვარებული საქართველოზე და გახლდათ მისი ბედის გამზიარებელი.

სასომხეთის მთავარი გუნდის დუბლშემადგენლობაში დაიწყო ფეხბურთის თამაში და მასზე, როგორც პერსპექტიულ სპორტსმენზე დიდ იმედებს ამყარებდა ერევნის ფეხბურთის ფედერაცია, მაგრამ...

მას მოსთხოვეს გადაეკეთებინა გვარი სომხურ ყაიდაზე (ერთდროს ფუტკარიანცადაც კი მოიხსენიეს), ან მიეღო დედის გვარი, რაც მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და მან დატოვა სასომხეთი.

ჩამოვიდა საქართველოში, ცოტა ხანს ირიცხებოდა თბილისის „ლოკომოტივში“, ხოლო სულ მალე ჩაიცვა ბათუმის „დინამოს“ მაისური.

სულ რაღაც ორიოდ წელიწადში მან დაიმსახურა ბათუმელი გულშემატკივრების დიდი პატივისცემა და აღიარება; ყველა ერთხმად აღნიშნავდა მის მაღალ ტექნიკურობას, მოედნის კარგ ხედვას და ზუსტ გადაცემებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მის მიერ გატანილ უამრავ და ულამაზეს გოლებზე.

აღმოჩნდა, რომ ბედისწერა მუდმივად ეწეოდა გორისკენ, სადაც მას ეგულებოდა უახლოესი ნათესაური კერა, კერძოდ, ქალბატონ ოლია ფუტკარაძისა და ბაგრატი გოცირიძის ბრწყინვალე ოჯახი, სადაც ვიტიამ იპოვა სიტბო და მზრუნველობის მაღლი. ამავე ოჯახში იზრდებოდა ჩვენი ძმაკაცი როლანდი, ვისი საშუალებითაც ვიტია მალე გახდა ჩვენი სამეგობროს აქტიური წევრი.

ვიტიამ თამაში დაიწყო გორის „დილას“ ფეხბურთელთა გუნდში. მაშინ მე ვმუშაობდი ახალგაზრდულ ორგანიზაციებში და სახელისუფლებო ორგანოებთან ერთად ჩვენც ვუნევდით სათანადო შეფობას „დილას“ კოლექტივს.

შევხვდი ვიტას და ვესაუბრე. მაშინ მან არ იცოდა ქართული წერა და საუბარიც უჭირდა ქართულად. გადავწყვიტე მისთვის ქართული მესწავლებინა. ამის შემდეგ ხშირად ვხვდებოდით. კარგ ამინდში ვსხდებოდით მაშინდელ ლენინის ქუჩაზე არსებულ კინოთეატრ „კომკავშირელის“ ბაღში. სწავლება დავიწყე გაზეთ „კომუნისტის“ ტექსტებით, კერძოდ მსხვილშრიფტიანი სიტყვებით. შემდეგ იყო გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ ა.შ. ვასწავლიდი ასოებს, მერე სიტყვებს, მერე მათ მნიშვნელობას, მერე მათ გამოთქმას და ა.შ.

ვიტია აღმოჩნდა საოცრად ნიჭიერი ახალგაზრდა მალე ითვისებდა „გაკვეთილებს“, რაც მე ძალიან მახარებდა.

ფეხბურთშიც კარგად მიდიოდა საქმე. ვიტამ სულ მალე დაიმსახურა მაღალი ტექნიკური დონისა და კომბინაციური სტილით მოთამაშე ფეხბურთელის სტატუსი. განსაკუთრებით მოსწონდათ მის მიერ გატანილი ლამაზი გოლები.

ჩვენი „გაკვეთილების“ შემდეგ, სულ რაღაც ორ-სამ თვეში ვიტამ ქართულის ათვისების საქმეში მიაღწია შესამჩნევ წარმატებას.

ერთხელ მოვიდა ჩემთან და ქართულად მომიყვა „დილას“ ფეხბურთელთა გუნდში მომხდარი ერთი სასაცილო ამბის შესახებ. გამეხარდა, რომ ჩვენმა ერთობლივმა გარჯამ საუკეთესო შედეგი გამოიღო.

იქამდისაც კი მივიდა ვიტია, რომ ანეკდოტებს უკვე ქართულად ჰყვებოდა. იუმორის გრძნობა კი ვიტიას საოცრად ჰქონდა განვითარებული.

მე და ვიტია ხშირად ვსაუბრობდით ხოლმე ქართულ-სომხურ ურთიერთობებზე – რა გვექონდა საერთო, რითი განვსხვავდებოდით ერთმანეთისგან, რანაირი ისტორია გვექონდა, ვისი სამზარეულო სჯობდა, რა გვიყვარდა, რა გვძულდა როგორც კავკასიელებს და ა.შ.

მახსოვს, რომ დაჟინებით მიმტკიცებდა – შენი სიდედრი გარეგნობით ძალიან ჰგავს სომეხსო. ცოტა ნაწყენი ტონით ვუპასუხე, რომ ჩემი სიდედრი ქალბატონი თამარ ბერიანიძე არის წმინდა სისხლის ქართველი და რომ დედაც ჰყავდა ქართველი გვარად ნონიკაშვილი (სოფ. ხიდისთავიდან). ბევრი ვიხუმრეთ და ვიცინეთ ამ თემაზე. საერთოდ იუმორის სფეროში უყვარდა ვიტიას ნებისმიერი საყოფაცხოვრებო მოვლენის გადატანა, რითაც ყოველთვის ქმნიდა სასიამოვნო ურთიერთგაგების ატმოსფეროს. მოკლედ, ის საღამო იუმორისტული განწყობით დავამთავრეთ.

მეორე დღეს, დილით ადრე, დაახლოებით ექვს

საათზე მესმის ხმა – რობერტ, რობერტ... (ვიტია ასე მეძახდა, რობიზონის მაგიერ). გამოვალე ფანჯარა და ვეკითხები: „რა მოხდა, ცუდი ხომ არაფერია...“ არა, ყველაფერი კარგად არის, ცუდი არაფერი მომხდარა, მაგრამ, იცოდე, რომ რამდენიც გინდა მიმტკიცო, არ დავიჯერებ, შენი სიდედრი თამარა იოსებოვნა სომებს მაინც ძალიან ჰგავსო. ეს მითხრა და სიცილით წავიდა.

სულ ცოტა ხანში ისევ დამიძახეს და მაუწყეს, რომ ვიტია „დილის ხაშზე“ გეპატიჟებათ რესტორან „ქართლიო“. მივხვდი, თუ რატომ მოიგონა დილით ჩემს გასაღვიძებლად „სიდედრის თემა“. ასეთი ეპიზოდები კი ჩვენს ოცნლიან მეგობრულ ურთიერთობებში ხშირად იყო. ეს წლები იყო ვიტიას კარგი გორელობისა და კაცობის წლები, რომელიც მისაბაძ მაგალითად გამოდგება მისთვის, ვინც მეგობართა არჩევის გზას დასდგომია.

ვიტია იყო საოცრად კეთილი ადამიანი, მუდამ მზადყოფნაში სხვის დასახმარებლად, გულგაშლილი და ხელგაშლილი, სიცოცხლით სავსე და დაუზარელი, მომლხენი და იუმორით დაჯილდოებული, ადამიანებს შორის თბილი ურთიერთობების მდომი.

ასეთად შემომრჩა გულში და მეხსიერებაში ჩვენი საყვარელი ვიქტორ (ვიტია) ფუტკარაძე“.

ვახტანგ ყანჩაველი:

მეგობრობის ხიდი

„1985 წლის აგვისტოს მინურულს, ყველაზე ცხელ თვეს, გავიგე საშინელი ამბავი, რომელმაც თავით ფეხებამდე შემძრა. ისედაც სიცხისაგან გათანგულს სიმწრის ოფლმა დამასხა.

„ვიტია მოკლეს“! დაუფერებელი იყო ეს ჩემთვის და ყველა გორელისათვის. როგორ შეიძლებოდა ეს უწყინარი, სიკეთის მთესველი, ფიზიკურად ძლიერი ვაჟკაცი, თავისი კაცობით გამორჩეული რაინდი ვინმეს მოეკლა? თანაც მეზობელს და მას, ვისაც კეთილ სალამს, ღიმილს ჩუქნიდა?!

როგორ შეიძლება ვიქტორი რომელიმე ჩვენგანმა დავივიწყოთ. ვაგლახ, რომ ცოტანილა დავრჩით მისი ძმაკაცებიდან.

მაშინ ახალგაზრდები ვიყავით, სიცოცხლე გვიხაროდა. ხშირად ოჯახებში ვიკრიბებოდით. დღესაც ჩვენი ცოლ-შვილები მეგობრობენ და იმ ლამაზ წარსულს იხსენებენ, როცა ძია „ვიტია“ თავისი მოულოდნელი სიურპრიზებით ანებივრებდა.

ყველა მისი ძმაკაცი იმ დროისათვის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ვმუშაობდით. ხშირად უყვარდა „თავის“ ერევანში ჩვენი სტუმრობა და პირიქით, გორში იქაური მეგობრების ჩამოყვანა.

ყველანაირი წამოწყების ინიციატორი იყო, ყველასათ-

ვის საყვარელი, ერთგული მეგობრობაში, ცოლ-შვილის მოყვარული, ყურადღებიანი, საუკეთესო სპორტსმენი, ყველას რომ გვეამაყება, გამორჩეული, ერთადერთი ქართველი ფეხბურთელი იმ დროისათვის სასომხეთის „არარატში“, ვიქტორ ფუტკარაძე.

- ერთ-ერთ ახალგაზრდულ სალამოზე, სადაც მისმა მომავალმა მეუღლემ, უმშვენიერესმა თამრიკო ფუტკარაძემ ბრწყინვალედ იცეკვა, ყველასთვის მოულოდნელად, ვიქტორი ავიდა სცენაზე და სომხური „ოჰ, სირუმ, სირუმ“ იმღერა, რითაც იქ დამსწრე საზოგადოების ოვაცია დაიმსახურა. სწორედაც ამ სალამომ ჩაუყარა საფუძველი ვიტიას და თამრიკოს იმ დიდ სიყვარულს, რითაც მისი მეუღლე დღემდე საზრდოობს.

- ერთ-ერთ ევროპულ გუნდს, რომელსაც გორის დილამ 6:0 მოუგო, გოლების უმრავლესობა ვიქტორმა გაიტანა, რითაც კიდევ უფრო ალაფრთოვანა გორელი გულშემატკივრები.

ნიჭიერ ფეხბურთელობას, ნიჭიერი მწვრთნელობა დაემატა. მისი ხელმძღვანელობით გორის „დილა“ საბჭოთა კავშირის II ლიგის ჩემპიონატის ფინალში გავიდა.

- ერთ სალამოს სუფრასთან ვთქვი, რომ ჩემი ოჯახი დილით ბათუმში დასასვენებლად მიემგზავრებოდა. იმ სალამოს ზომაზე მეტად მოგვინია ღვინის დაღევა და

სახლებში გვიან დავბრუნდით. დილით ვიქტორი რკინიგზის სადგურში დაგვხვდა, მან ჩემი ცოლ-შვილი საჩუქრებით გააცილა.

- ჩვენი მეგობრის, ანგანსვენებული ჯემალ გორგოშელის ქორწილში თბილისის „დინამოს“ გამარჯვების აღსანიშნავად მუსიკოსებს დაახლოებით 30-ჯერ დააკვრევინა სიმღერა „დინამო, დინამო, დინამო“ და თავადაც მღეროდა.

- როდესაც გორში რევოლუციონერი კამოს მუზეუმი გაიხსნა, ვიქტორმა ერევნიდან ჩამოიყვანა თავისი საძმაკაცო და რამდენიმე დღე, გორელებისათვის ჩვეული, მასპინძლობა გაუწიეთ. ჩვენმა უახლოესმა მეგობარმა ვიქტორ ქარელიშვილმა, რომელთანაც ხშირად ვიკრიბებოდით სოფელ რეხაში, არნახული ზეიმი მოგვიწყო, სადაც სომეხი და ქართველი მეგობრები სიყვარულს ვეფიცებოდით ერთმანეთს.

უამრავი რამ შეგვიძლია მოვიგონოთ მისი ცხოვრებიდან, მაგრამ, მთავარი მაინც ის იყო, რომ ვიტიამ შეგვაყვარა სომეხი ხალხი. თავისი დიდი სტუმართმოყვარეობით, ჩვენსა და მათ შორის სიყვარულის ხიდი გადო და ამ ხიდის ბურჯები ისე მყარად დგას მინაზე, რომ ჩვენ, ორი ერის შვილებს, არასოდეს დაგვაგინწყდება ვიქტორ ფუტკარაძე, რამეთუ ჩვენთვის ეს ხიდი ვიტყვას სიყვარულის სიმბოლოდ იქცა.

ცუგო ჯავახიშვილი:

„მე და ვიტას ბევრი დრო გვაქვს ერთად გატარებული. თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს და ბევრი საინტერესო ამბებიც გადაგვხდენია.

- თბილისში წასვლას ვაპირებდით რაღაც საქმეების მოსაგვარებლად. ვიტამ მომაკითხა მანქანით. ჩავჯექი და არასასიამოვნო ამბავი შევატყობინე – ნუხელ სტასიკა ფიდიური (გორში ცნობილი იყო სიტყვამოსწრებულობით და მრავალფეროვანი საყოფაცხოვრებო იუმორით) გარდაიცვალა-მეთქი.

ვიტამ მაშინვე შეატრიალა მანქანა და მივადექით სტასიკას სახლს. ადრიანი დილა იყო და სახლში მხოლოდ ერთი ჭირისუფალი (სტასიკას დის ქმარი) რობა დაგვხვდა. მიცვალეებული ტახტზე იყო დასვენებული. შევამჩნიეთ, რომ ორივე ფეხსაცმლის ძირი გახვრეტილი ჰქონდა.

ვიტა მაშინვე სახლში გაიქცა და სულ უხმარი ფეხსაცმელები მოიტანა. ჭირისუფალს გადასცა და უთხრა, ესენი ჩააცვიო.

ჭირისუფალმა ხელში შეათამაშა ახალი ფეხსაცმელი და მოურიდებლად განაცხადა – ამას მე ჩავიცვამ, სტასიკას კი ჩემებს მოვარგებო.

ვიტამ არც აცია და არც აცხელა და მიახალა რობას: „მკვდარ სტასიკას შენზე მეტი ჭკუა აქვსო“.

● შაბათი დღე იყო. მე და ვიტია სასტუმრო „ინტურისტ-თან“ ვართ გაჩერებულები. უცებ ჩვენს გვერდით გაჩერდა მანქანა და იქიდან ანზორ ქიბრონაშვილმა (სახელგანთქმული მოჭიდავე, წარმოშობით კახეთიდან) მოგვმართა: „...სამი თვეა, რაც მამაჩემი თათარო არ მინახავს. ნუხელის ჩამოვედი იაპონიიდან, სხვადასხვა საჩუქრებთან ერთად წამალიც ჩამოვუტანე და მინდა გავახაროთ. თქვენ წადით, მე კი თბილისში რაღაც საქმეს მოვაგვარებ და გზაში წამოგენევით, თან ბაზარშიც შევივლი და რაღაც-რაღაცეებს გამოვაყოლებო. ჩხაკუნაც (ჯემალი) წამოიყვანეთო, გვითხრა და თბილისისაკენ აიღო გეზი.

ჩხაკუნა ჩავისვით და წავედით კახეთისაკენ. გზაში მოგვშივდა. ჩხაკუნამ თქვა: „...სანამ ჩავალთ, სანამ ბატკანი დაიკვლება და გატყავდება, სანამ ხაშლამა მომზადდება და სუფრა გაიშლება მშვივრები დავრჩებით. მოდი, სადმე შევჩერდეთ და ცოტა წავიხემსოთო.“

კაჭრეთში ნაუცბათევად დავნაყრდით და ერთი ბოთლი კახური „ჭაჭაც“ გამოვცალეთ (ჩხაკუნამ მუცელი აიტკივა და იძახდა მიშველისო).

ნელი სვლით გავუყევით გზას. ჩავედით დანიშნულების ადგილზე. ანზორი უკვე იქ დაგვხვდა. გვითხრა, შევამჩნიე თქვენი მანქანა, ვიფიქრე „ბორჯომის“ დასალევად შევიდოდნენ-მეთქი და აღარ შევჩერდიო. ანზორს არყის სუნი ეცა და მოგვახალა: თქვე ღორმუცელებო, აქ თათაროს საოცარი ღვინო „წარაფი“ გელოდებათ და არაყი რამ დაგაღვინათო.

ბარაქიან კახურ სუფრასთან გვარიანად მოვილხინეთ. განსაკუთრებით ვიტია ენანყლიანობდა თავისი განთქმული იუმორით და შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ ქართველებისა და სომხების ურთიერთმეგობრობისთვის არ გაესვა ხაზი.

მე შევეხუმრე: „...შენ, ჩემო ვიტია, ორმაგ თამაშს თამაშობ, აქ სომხებს აქებ, სასომხეთში სტუმრობისას კი ქართველებს“. მან ჩვეული მოსაზრებულობით მიპასუხა: „...ჭკვიანი ბატკანი ორი დედის ძუძუს ნოვსო“ და გადასძახა სუფრასთან მსხდომთ – ასე არ არის კახელებო?!

კარგად მოვილხინეთ. მატყლის ფუმფულა ლოგინებში გამოვიძინეთ. ლამაზი დილა გაგვითენდა. საოცარი სუ-



კახეთი. შუამთა. მარცხნიდან: „ჩხაკუნა“, ცუგო ჯავახიშვილი, ანზორ ქიბრონაშვილი, ვიქტორ ფუტკარაძე

რათი გადიშალა ჩვენს წინ – ულამაზესი ალაზნის ველი და დათოვლილი კავკასიონი.

მასპინძლებმა „შუამთაში“ წაგვიყვანეს. დავათვალიერეთ ისტორიული ადგილები, გადავიღეთ სურათები.

გორში დაბრუნებულებმა სასტუმრო „ინტურისტის“ რესტორანში გამოვცალეთ ანზორის მამის, თათაროს მიერ გამოტანებული „წარაფი“ და კარგად შეზარხოშებულებმა მივაშურეთ ოჯახებს.

● 13 იანვარი იდგა, ძველი სტილით ახალი წელი დგებოდა. ერთად ვიყავით მე, ვიტია, სოსო ბერბუკელი, ზურა კაჭკაჭიშვილი და რობიზონ ნინოშვილი.

ყველას ერთი აზრი გვიტრიალებდა თავში, თუ სად, ან რა ვითარებაში აღგვენიშნა ახალი წლის დადგომა, ისე რომ, ღამის თორმეტი საათისთვის ყველა საკუთარ ოჯახში ვყოფილიყავით.

ვიტიამ შემოიტანა წინადადება – ჩემს სიმამრს ხეივანის კარგი ღვინო აქვს, თბილი ღუმელიც ღულუნებს და იქ „შევუბეროთ“, ღამის თერთმეტ საათზე კი დავიშალოთო.

ვიტიას სიმამრი, ბატონი მიხეილ მეზვრიშვილი (ცნობილი ქორეოგრაფი და მოქეიფე კაცი) და მისი მეუღლე მერი ჭილლაძე (დამსახურებული ექიმი-სტომატოლოგი) სიხარულით შეგვეგებნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს. „მიშა, ნახე როგორ გაგიმართლაო“, – ღიმილით მიმართა მეუღლემ.

ცნობილია, რომ მამაკაცებს ხშირად უყვართ სიდედრზე ხუმრობა, ანეკდოტების მოყოლა და მეგობრული ანგლობა. არც ჩვენ გახლდით გამონაკლისები და

ვხალისობდით ამ თემით. შუა ქეიფში ქალბატონმა მერ-იმ ხაჭაპური შემოგვიტანა და გასვლას რომ აპირებდა, ვიტყვამ მიაძახა: „დედა, პური შემოგვიტანე“.

ამას არ ველოდით და სიცილი აგვიტყდა. ხვალისთვის საშაყირო თემა გამოგვიჩნდა. მე ვითომ ვერ შევამჩნიე ეს ამბავი და ხმას არ ვიღებდი.

ვიტყამ გადმომძახა – რას გაჩუმებულხარ, რატომ არაფერს ამბობ... ხვალისთვის ინახავ, რომ ილადავო?!

ჩვენთვის ყველასთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ქალბატონი მერი დედობის გრძნობას არ აკლებდა საყვარელ სიძეს.

სახლში წასვლის დროც მოვიდა. ვიტყვამ დოქით ღვინო გამოიტანა, მანქანაში მჯდომებს თითო ჭიქა დაგვალევიანა – გზა დაგელოცოთო. დოქში რაც დარჩა, საქარე მინას ჩამოასხა, ბარაქა გაგაყოლოთო.

ყინავდა, გზა ერთიანად გალიპული იყო. ფრთხილი სვლით ბიჭები ჩამოვარიგე სახლებში.

ლამის პირველი საათი იყო, როცა ვიტყვას დაფურეკე და შევეკითხე – გეცოდინება ღვინო რამდენ გრადუსზე იყინდება-მეთქი. არ ვიცო, – მიპასუხა. ჰოდა, იცოდე, შენმა სიმამრმა წყალნარევი ღვინო დაგვალევიანა, რადგან საქარე მინა ერთიანად შეიყინა-მეთქი. ვიტყვამ კი სიცილით მომმართა – მაინც იპოვნე, არა, სალადაო თემა?!

- ცნობილი სომეხი რევოლუციონერის კამოს ასწლიანი იუბილის აღნიშვნის დღეებში გორში გაიხსნა მისი სახელობის სახლ-მუზეუმი.

დიდი პომპეზურობით აღინიშნა ის დღეები. გორს ესტუმრა სხვადასხვა ქალაქების დელეგაციები. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, დავპატიჟეთ ჩვენი და ვიტისას ერთობლივი მეგობრები, რომლებთანაც ხშირად ვყოფილვართ სტუმრად ერევანში.

ჩამოვიდა 15-კაციანი ჯგუფი. ვიტამ გაიხარა, ერთ ამბავში იყო. ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ სომეხ სტუმრებს კომფორტულად ეგრძნოთ თავი ჩვენს ქალაქში.

სომეხმა სტუმრებმა მოინახულეს კამოს სახლ-მუზეუმი და გორის სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები. ვიტა თამაშობდა მთავარი მასპინძლისა და გიდის როლს და ეს მას ძალიან დიდ სიხარულს და სიამაყეს ანიჭებდა, ისევე როგორც ჩვენ, მის უამრავ გორელ მეგობარს.

როგორც წესი, ჯემალ გორგიშელის („ხვანჭკარა“) ოჯახშიც გაიშალა დოვლათიანი ქართული სუფრა ცნობილი დამკვრელების თანხლებით.

ინტერნაციონალური ატმოსფერო სუფევდა ამ შეხვედრაზე. ერთიმეორის მონაცვლეობით სრულდებოდა ქართული და სომხური სიმღერები თუ ცეკვები.

ვიტამ გაშალა ფრთები და თავისებურად გაინავარდა. უზომოდ იყო გახარებული, რომ ქართველთა და სომეხთა ერთობლივმა ლხინმა მაღალ დონეზე ჩაიარა.

ეს იყო ორი ერის წარმომადგენელთა მეგობრობის და ძმობის სადამო. ვიტა იყო ბედნიერი.

მეგობრობა კი დღესაც გრძელდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ვიტისას გარეშე.

აფერუმ, შენს ქალობას, თამარ...

„...ქალი საქართველოში ყოველთვის იყო სანყისი სინმინდისა და სილამაზისა. ამავე დროს, მუდამ სიმშვიდესა და ერთიანობას ამკვიდრებდა...“

თამარ ცინცაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს მრავალსაუკუნოვანმა, სისხლითა და ოფლით გაჟღენთილმა ისტორიამ ბევრი მაგალითი შემოგვინახა მეუღლედაკარგული ქალების შემდგომი ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, როდესაც მათ ქვრივის სტატუსით უხდებოდათ ბრძოლაც, შრომაც, აღმშენებლობაც,



თამარ და
ვიქტორ
ფუტკარაძეები

თავგანწირვაც, ცალ მხარეს დახრილი უღლის ტარებაც და მონაგარის აღზრდისა და გზაზე დაყენების ურთულესი და უმძიმესი პრობლემის მოგვარებაც.

თექვსმეტი წელი ერთიანი ძალით ზიდეს ცხოვრების უღელი ვიტიამ და თამარმა. ახალი ოჯახის შექმნა და ფეხზე მყარად დაყენება მრავალი სიძნელის გადალახვას მოითხოვს, მაგრამ ახალგაზრდებს ეს არ გასჭირვებიათ. შეხმატკბილებულები, დიდი სიყვარულითა და ურთიერთგაგებით აკონინებდნენ ქვეყნის ერთ აგურს, რასაც ოჯახი ჰქვია, ყველაფერს სასიკეთო პირი უჩანდა, მაგრამ...

მოულოდნელად შავი ღრუბელი გამოჩნდა ფუტკარაძეების ცაზე... გარეწრების აღვირახსნილობას და არაკაცობას შეეწირა ვიტიას სიცოცხლე.

დაუმძიმა უღელი ახალგაზრდა დედას. მაშინ ირინე 14 წლის იყო, ხოლო გიორგი 10-ის.

დღეს არავინ იცის, თავად თამარის გარდა, თუ რა სიძნელეების გადალახვა მოუხდა მას ბოლო 30 წლის განმავლობაში, რა პრობლემებს შეეჭიდა, რა ქარ-ცეცხლს გაუძლო, რამდენი უძილო ღამე გაუთენებია და რამდენჯერ მოსდგომია თვალზე ცრემლი საყვარელი მაუღლის გახსენებისას... ვინ იცის, იქნებ ვინმემ უნებურად აწყენინა ცხოვრების ბილიკებზე, იქნებ ვიღაც უსამართლოდ მოექცა, იქნებ მავანმა დაუმსახურებლად შეაქცია ზურგი, იქნებ...

არავინ იცის თამარის გარდა.

ჩვენ კი ვიცით, რომ მეზვრიშვილების გვარის

ერთ-ერთმა საუკეთესო ქალბატონმა, თამარმა ვაჟკაცურად გაუძლო ცხოვრებისა და საზოგადოების ყოველგვარ გამოწვევას და შარავანდედით შემოსა ისტორიული ქართველი გმირი დედის უკვდავი სახელი.

შედეგი სახეზეა – ვიტიას და თამარის ოჯახმა იმძლავრა, ფრთები გაშალა, გახალხმრავლდა და გამრავალფეროვნდა.

მთელი ბოლო 30 წლის განმავლობაში თამარს მხარში ედგნენ ახლონათესავეები, მეგობარ-მეზობლები, ვიტიას ამხანაგ-კოლეგები და მეგობრები, მაგრამ, როგორც ხატოვნად იტყვიან ხოლმე – „ვიოლინოს მთავარი პარტია თამარმა შეასრულა“.

ქალბატონი თამარი ათეული წლების განმავლობაში ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ უკვდავეყო ვიტიას სახელი, რომ პატივი ეცა მისი მეგობრებისათვის, რომელთა მხარში დგომას მუდმივად გრძნობდა, რომ შვილები ისე აღეზარდა, როგროც მეუღლეს სურდა და ა.შ.

ისიც კი გააკეთა, რომ ოჯახში აღედგინა ფუტკარაძეების ტრიო და იურიდიულად გადავიდა დაკარგული მეუღლის გვარზე.

შედეგი შრომისა, თავდადებისა და ბრძოლისა სახეზეა – შემონახული ოჯახური სტუმართმოყვარეობა, ღია კარი, კეთილის კეთების დაუოკებელი სურვილი, უანგარობა და სუფთა და გულწრფელი ღიმილი და გამამხნევებელი მისალმება.

უმთავრესი კი მაინც ის არის, რომ ვიტიას და თამა-

რის მიერ დარგულმა ხემ იხარა, გაიშალა და იმდიდრა: ორი შვილი, შვიდი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი, რომელთაგან უმცროსი ლაზარე დაიბადა ამ პატარა ბროშურის წერის დროს.

დიდება შენ ქართველო ქალო!

დიდება შენ – დიდო ბებიავ, უბრალოდ ბებიავ, დედავ, დედამთილო, სიდედრო, მასწავლებლო და მეგობარო.

აფერუმ, შენს ქალობას!

თამარ მეზერიშვილი:

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ვიტიას და ჩემს მეგობრებს, ნათესავებს, ახლობლებს. თამამად შემიძლია განვაცხადო ჩემი ოჯახის და ვიტიას მეგობრების ოჯახებთან ურთიერთობა არის ნიმუში ჯანსაღი, სუფთა, ურთიერთპატივისცემის, წრფელი სიყვარულით აღსავსე გორელ და ერევნელ მეგობრებს შორის. ჩვენი მეგობრობა არის სანიმუშო, რომელზეც ჩვენი შვილები, შვილიშვილები და მრავალი თაობები უნდა აღიზარდოს.

გორელი მეგობრები: ზურაბ კაჭკაჭიშვილი, ვახტანგ ყანჩაველი, როლანდ ნასყიდაშვილი, ცუგო ჯავახიშვილი, რობიზონ ნინოშვილი, ვაჟა რაჟამაშვილი, სოსო მერაბაშვილი, სოსო ხოდელი, გუჯა ბერიკაშვილი, ვახტანგ დალაქიშვილი, ვასიკო ბეთლემიძე, ვალერი ვლამჩინკო, ვოვა კოზინი, ვანო თაყაძე, ანზორ ელიჯარაშვილი, მერაბ ელიკაშვილი, ზურა სიხარულიძე, ალიკა თათრიშვი-

ლი, ზაურ საგანელიძე, ვალტერ შავშიშვილი, თემო და ზურაბ ნამიჩიეიშვილები, გელა ბერიძე, ჯემალ (ჩხაკუნა) ქერდიყოშვილი, შოთა ტიტვინიძე და სხვა.

გარდაცვლილი მეგობრები: ჩვენი მეჯვარე გუჯარაკრიკაძე, თენგიზ ბურჯანაძე, ვალიკო დადიანი, გივი გივიაშვილი, უშანგი მელიქია, მერაბ ნიჟარაძე, ალეკო ქარუმიძე, ჯემალ გორგიშელი, თემო ტატიშვილი, გივი ეგნატაშვილი, ანზორ ქიბრონაშვილი, ვიქტორ ქარელიშვილი, მერაბ ჩუბინიძე, ილო და თამაზ ქუჩუკაშვილები, ვანო გლავაცკი, ომარ ადუაშვილი (კატრინა), ალგი სადალაშვილი, ზურა ინაური, ავთო გუმარაშვილი და სხვა.

ვიტიას მეგობრები ერევნიდან: ჰამლეტ გამბარიანი, ვოვა ასლანიანი, რობერტ სარქისიანი, გრაირ ჭარტარიანი, აბო სააკიანი, სირუნ გენრიხ (ასე ეძახდნენ, გვარი არ მახსოვს), კორუნ ბაღდასარიანი, ჟუკო ნალბანდიანი, აბო მადანიანი, სეირან ვართანიანი, შურიკ კოვალენკო, არკადი ანდრეასიანი, ვიგენ ოგანესიანი და სხვა.

რომ არა: ჩემი და ჩემი დიდი ოჯახი, ჩემი სანიმუშო მშობლები მერი ჭილაძე და მიშა მეზვრიშვილი, ჩემი და თინათინი, ჩემი დიდი ტკვივილი, ჩემი უდროოდ წასული ძმა გია, მისი მეუღლე ნანა, ჩემი უსაყვარლესი ბიძები ოთარ და ომარ ჭილაძეები, მათი თითოეული ოჯახის წევრი, ამალია და ალიკო ჩიხლაძეები, ჩემი მეჯვარე ლუიზა ნიკოლაიშვილი ოჯახით, ვიტიას მშობლები როზა და გოგი ფუტკარაძეები, მისი ძმა მიშკა ოჯახით, ნელი, ოლია, ლუბა, ნადია ფუტკარაძეები, ბაგრატ, როლანდ, ნანული, დალი გოცირიძეები, ირა, ლალია ახვერდოვები,

ედუარდ ჰუსეინოვი, ოთარ, თემიკო ფირალიშვილები, ას-ტლიკ, რიფსიკ, კიმა, კარლენ ბიშარიანები, მანველ მაქსა-პეტიანი ოჯახებით – მე ვერ შევძლებდი ამ მძიმე უღელის განევას.

მინდა გულთბილი მადლობა გადავუხადო მშრომელ კაცს სპარტაკ ჯანგველაძეს, რომელმაც ვიტის საფლავი, მისი უკანასკნელი ადგილსამყოფელი გაუკეთა. ორ თვეზე მეტი, დღე და ღამე მუშაობდა, გააკეთა ყველაფერი, რომ საფლავი გამოსულიყო ისეთი, როგორც ვიტისას სულს ეკადრებოდა.

ეს საფლავი ხომ გორელი და ერევნელი მეგობრებისა-გან ვიტისას უკანასკნელი საჩუქარია.



ქალბატონი თამარი შვილიშვილებთან ერთად ვიტისას საფლავზე.

იმედი

ყველას გაგვიგონია გამონათქვამები: „...იმედით ცოცხლობს ადამიანიო...“, „...იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმაო...“, „...იმედი ბოლოს კვდებაო...“ და ა.შ.

ნებისმიერი ადამიანისთვის უპირველესი იმედი მაინც მონაგარია – მისთვის ვიღწვით, მისთვის ვიბრძვით, მისთვის ვცოცხლობთ.

თვალი გადავავლოთ ვიქტორ (ვიტია) ფუტკარაძის მონაგარს, რომელთა უმრავლესობას ცოცხალი ვიტია არ უნახავს.

შვილები



ირინე და ონისე

ირინე. წარჩინებით დაამთავრა გორის №6 საშუალო სკოლა, ასევე გორის უნივერსიტეტი ეკონომისტი სპეციალობით (ე.წ. წითელი დიპლომით); დ. აღმაშენებლის სახელობის სტიპენდიანტი. გათხოვდა ქუთაისში. ჰყავს სამი შვილი. მეუღლე ონისე ონიანი (იურისტი, ეკონომისტი) დაიღუპა (2009 წ.) 39 წლის ასაკში, ავტოკატასტროფაში. ირინე ამჟამად 44 წლის გახლავთ. მეუშაობს ს.ს „სილქნეტის“ იმერეთის რეგიონალური მომსახურების ცენტრების უფროს ოპერატორად.



გიორგი და მანანა

გიორგი. დაამთავრა გორის №6 საშუალო სკოლა და შემდეგ გორის უნივერსიტეტი ეკონომისტი სპეციალობით. 17 წლის ასაკში მოხალისედ წავიდა და ჩაება აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში. სამწუხაროდ, კანტუზირებულ იქნა, რის გამოც დაბრუნდა სახლში.

სტუდენტობის პერიოდში შექმნა ოჯახი მანანა დვალისძე-შვილთან (ინგლისური ენის სპეციალისტი) ერთად. ჰყავთ ორი შვილი – თამარი და ანა. გიორგის მეუღლე მანანა ორი შვილით ცხოვრობს დედამთილთან, თამარ მეზვრიშვილთან ერთად.

მოხდა ისე, რომ გიორგიმ მუშაობა და ცხოვრება გააგრძელა გერმანიაში, სადაც ჰყავს ორი შვილი – სოფიო და ვიტია.

გიორგი ამჟამად 40 წლის გახლავთ.

შვილიშვილები



ლელი და თორნიკე

ლელი ონიანი. წარმატებით დაამთავრა, როგორც ქ. ქუთაისის პირველი სკოლა, ისე აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მეუღლე – თორნიკე ჯაჯაია (ახალგაზრდა ბიზნესმენი). ჰყავს ორი ვაჟიშვილი.



თათო ონიანი. წარმატებით დაამთავრა ასევე ქუთაისის პირველი სკოლა. ამჟამად, სახელმწიფო დაფინანსებით, განაგრძობს სწავლას ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე. არის მეორე კურსის სტუდენტი.



გიორგი ონიანი. ამჟამად არის ქ. ქუთაისის პირველი საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე. აქვს კარგი სპორტული მონაცემები. სისტემატურად მეცადინეობს რაგბის სპორტულ წრეში. სპეციალისტები უნი-ნასწარმეტყველებენ წარმატებულ სპორტულ კარიერას.



თამარ ფუტყარაძე. ქ. გორის მესამე საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლეა. დამთავრებული აქვს საგუნდო კამერული მუსიკის ქ. გორის ბავშვთა სტუდია.



ანა ფუტკარაძე. ამჟამად არის გორის მესამე საჯარო სკოლის VII კლასის წარჩინებული მოსწავლე. ბეჯითად იღწვის ასევე საორკესტრო მუსიკის დარგში. კერძოდ, ვიოლინოს სპეციალობით. ამით არ კმაყოფილდება და საკმაო აქტიურობით გამოირჩევა გორის კულტურის სახლის ინგლისურენოვან ბავშვთა თეატრის დასში. ანას განსაკუთრებით აინტერესებს ინგლისური ენა. მრავალ კონკურსში და ოლიმპიადაში აქვს მიღებული მონაწილეობა. მიმდინარე წელს ანა გახდა ბრიტანეთის საბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსის რჩეული.



ვიტია და სოფიო ფუტკარაძეები. ამჟამად ცხოვრობენ გერმანიაში. ვიქტორი (ვიტია) 5 წლისაა, სოფიო – 9 წლის.

ქალბატონი თამარი დიდი შინაგანი განცდით აღნიშნავს: „...გიორგი და მისი ორი შვილი დღეს ჩვენთან რომ არ ცხოვრობენ, ეს ჩემთვის უდიდესი ტკივილია...“

შვილთაშვილები




ბესარიონ ჯაფაია
3 წლის



ლაზარე ჯაფაია
1 თვის

სიგელი

გორი 2015 წელი



ვიქტორ ფუტკარაძის
ხსოვნისადმი მიძღვნილი
ტურნირი ფეხბურთში

გორის მუნიციპალიტეტის თუნჯი
ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო სკოლა
აჯილდოვებს



ს ი ბ ე ლ ი

საქართველოს სსრ ბილისკოტა
საფეხბურთოან კარსეპული უიზიქარი
კულჯარიისა და სპორტის კომიჯივი
აჯილღოჯის

КОМИТЕТ НАГРАЖДАЕТ

ФУТБОЛЬНУЮ КОМАНДУ МАСТЕРОВ "ДИЛА" ГОРИ

- За достигнутые успехи в розыгрыше первенства СССР по футболу среди команд мастеров II лиги класса "А" и выход в финальную пульку.



ფეხბურთის თანჯეჯღოჯისა
ოქტობრი 1974 წ.
№ 261

Handwritten signature

МАХАРАДЗЕ Ф.И.



Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ГРАМОТА

Центральный совет ДСО "Гантиади"

Награждает

тов. Пушкадзе В.Г. старшего тренера футбольной команды "Дила" гор. Гори за успешную подготовку команды к чемпионату СССР 1974 г. по второй лиге.

Председатель ЦС ДСО "Гантиади" 1974 г.

Handwritten signature
А. Дворгобиани



Понедельник

- 1. Русский
- 2. Физ-ра
- 3. Литература
- 4. Ист. сеср
- 5. Географический сеср
- 6. Английский

Вторник

- 1. Геометрия
- 2. Физика
- 3. Физ-мат
- 4. Биология
- 5. Химия
- 6. Черчение

Среда

- 1. Английский
- 2. Немецкий
- 3. Физика
- 4. Физ-мат
- 5. Ист. Физ.

Четверг

- 1. Физ-ра
- 2. Химия
- 3. Русский
- 4. Физ-ра
- 5. Английский
- 6. Географический Физ.

Пятница

- 1. Физика
- 2. Геометрия
- 3. Физика
- 4. Ист. сеср
- 5. Немецкий
- 6. Английский?

Суббота

- 1. Физический
- 2. Русский
- 3. Английский
- 4. Биология
- 5. Географический сеср
- 6. Факультатив?!

1 урок - 8 ³⁰ - 9 ¹⁵
 2 урок - 9 ²⁰ - 10 ⁰⁵
 3 урок - 10 ¹⁰ - 10 ⁵⁵
 4 урок - 11 ¹⁵ - 12 ⁰⁰
 5 урок - 12 ⁰⁵ - 12 ⁵⁰
 6 урок - 12 ⁵⁵ - 1 ⁴⁰

Расписание уроков
 - ГИМ. ПОМОЗ.

ყველაზე ძვირფას საჩუქარს ვიტყვით ჯობით დაატარებდა.
 ეს არის ქალიშვილის (ირინეს) მიერ დანერგილი გაკვეთილების განრიგი.

ვახტანგი, ვოვა,
ზურაბი, ჰამ-
ლეტი, ცუგო,
რობერტი, ოთ-
არი, გრაირი,

გვაოცებდი ცხრა გულით და ცხრა მკლავით,
სიკეთისთვის იღვიძებდი ადრიან...
გორის ცაზე ჩაქრა ერთი ვარსკვლავიც
და დღეს შენი ძმები ობლად დადიან...

ომარი, აბო, ვაჟა,
კორუნა, რობი-
ზონი, ყოკო, სო-
სო, გუჯა, რო-
ლანდი, სეირანი,
ვალერი, გენრიხი,
მერაბი, ალიკა,
არკადი, თემო,
ვიგენი, ჯემა-
ლი, არტუშიკ,
თენგიზი, ჟორ-
იკ, ვალიკო,
არაიკ, ტუტო,
გივი, უმანგი.

(საძმო)



